ბრძოლა "ფრინველის გრიპთან" და... მინისტრებთან

A2

მოსამართლის უარი ადვოკატთა შუამდგომლობაზე

A4

ალიოშა დევდარიანის არქივი ჩუკოტკაზე ყოფილა!

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 28 თებერვალი, 2006 წელი. №42 (1194)

ფასი 50 თეთრი

ამბები

აჭარის პარლამენტში გადამფრენი ფრინველების არშემოშვებას განიხილავენ

ხელვაჩაურში საგანგებო მდგომარეობა ძალაში შევიდა. რაიონის მოსახლეობისაგან სანადირო თოფების ამოღება დაიწყო. აჭარის უმაღლეს საბჭოში კი მიიჩნევენ, რომ საგანგებო ზომები ქალაქ ბათუმშიც მისაღებია. რაც შეეხება თოფების ჩამორთმევას, დეპუტატთა აზრით, შესაძლებელია, ისევ ნადირობამ აჯობოს.

A2

სამართალი

"საშიში ქართველების მაფია"

ის, რომ უცხოეთში წასულ ქართველ არალეგალთა გარკვეული ნაწილი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, ცნობილი ფაქტია. ამ მხრივ, "განსაკუთრებით საშიში ქართველები" სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს სერიოზულ საფიქრალს უჩენდნენ და უჩენენ.

A4

ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	28/02	1 /03
თბილისი	15	10
ქუთაისი	14	13
გორი	11	9
ონი	7	6
ზუგდიდი	16	16
სამტრედია	16	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8025
ევრო	2.1924
გირვანქა სტერლ.	3.1924
რუბლი	0.0633

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
ეკონომიკა	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

ოპოზიციის მოთხოვნა

გუშინ დასმულ შეკითხვებს პასუხი დღეს უნდა გაეცეს

ბესო ბელეკაშვილის ფოტო

ოპოზიციის მიერ გაგზავნილ კითხვებს, მერაბიშვილის ნაცვლად, პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა გასცა.

სოფიკო ჩხაიძე

ორი ოპოზიციური ფრაქციის: "ახალი მემარჯვენეებისა" და "დემოკრატიული ფრონტის" მიერ გუშინ ჩატარებული გაფართოებული სხდომა, მართალია, "გაერთიანებული ქართული ბანკის" საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ირგვლივ დაგროვილ შეკითხვებზე პასუხის მიღებას ისახავდა მიზნად, მაგრამ საბოლოოდ, პოლიტიკური განცხადებების კეთებასთან ერთად, კითხვების შეგროვებასა და დაკონკრეტებას მიეძღვნა. ეს ერთგვარი პრაქტიკული მეცადინეობა კი საპარლამენტო ოპოზიციისთვის სწორედაც რომ სასარგებლო გახლდათ შინაგან საქმეთა მინისტრის პარლამენტში მისვლის წინა დღეს, თორემ, ორიოდ დღის წინ ვანო მერაბიშვილისთვის მათ მიერ გაგზავნილი კითხვარი სულ სამ შეკითხვას შეიცავდა და ისიც ისეთებს, რომლებზეც პასუხის გაცემაც მერაბიშვილის მიერ სხდომაზე წარგზავნილმა წარმომადგენელმა, მოკლე ფრაზების გამოყენებით, ისე შეძლო, რომ საოქმო ტერმინოლოგიას არ გასცილებია.

გაგრძელება A2 გვერდზე

ინფორმაციული ომი და მშვიდობა

თავშეკავებული და საქმიანი საუბარი რუსულ მედიასთან

"მე სულ არ მინდა ვიყო ის პრეზიდენტი, რომლის დროსაც რუსეთი საბოლოოდ დაკარგავს საქართველოს," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა რუსულ რადიოსადგურ "ეხო მოსკვი"-სა და გაზეთ "კომერსანტისთვის" მიცემულ ვრცელ ინტერვიუში. საუბრის ძირითადი თემა, ცხადია, რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს წარმოქმნილი დაძაბულობა გახდა. ორი ქვეყნის რთული ენერგოურთიერთობა, გასულ თვეში აფეთქებული გაზსადენი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები და ამ კონფლიქტებში რუსეთის როლი, რუსი სამშვიდობოების თემა, პრეზიდენტ პუტინთან ურთიერთობა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილი, ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებული კითხვები - ეს ის თემებია, რომელთაც რუსი ჟურნალისტები ქართველ პრეზიდენტთან საუბრისას შეეხნენ.

რუსულ მედიასთან საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა საკმაოდ თავშეკავებული, კონსტრუქციული და საქმიანი ტონი აირჩია.

"დღეს ჩვენი ქვეყნები გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან. მიმდინარეობს ფასეულობათა გადახედვის პროცესი. დღეს ჩვენ განვსაზღვრავთ, თუ რას წარმოვადგენთ ერთმანეთისთვის, რას ნიშნავს ჩვენთვის ჩვენი მეზობლები, სად მთავრდება ჩვენი საზღვრები, რას ნიშნავს ცივილიზებული ურთიერთობები, რას ნიშნავს ორ ქვეყანას შორის მეგობრობა... ყველა ეს ფასეულობა დღეს რევიზიას განიცდის. პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან უკმაყოფილო ვარ იმით, რაც ხდება. ის რიტორიკა, რომელიც დღეს გვესმის, არ შეესაბამება სინამდვილეს და სრულიად არ გამოხატავს

გაგრძელება A3 გვერდზე

გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. №51 (შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან) ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86



მერაბიშვილი სცილასა და ქარიბდას შორის

ეკა კვესიტაძე

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტმა უკვე მიიღო განსაკუთრებული პოლიტიკური შეფერილობა. ამ ფაქტის გახსნაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული - პირველ რიგში კი იმის გარკვევა, თუ როგორი ტიპის სახელმწიფოში ვცხოვრობთ.

პოლიტიკური ტალღა შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით უკვე აგორდა და მას, რასაკვირველია, სათავეში ოპოზიცია მოექცა - პოლიტიკური სპეკულაციებისთვის ეს მკვლელობა მეტად მსუყე ლუკმა აღმოჩნდა. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რას უპირისპირებს ამ ტალღას შინაგან საქმეთა სამინისტრო. გირგვლიანის მკვლელობის ფაქტმა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის, არამედ საზოგადოებისთვისაც დიდი დატვირთვა შეიძინა და ახლა ყველა არსებულ კითხვაზე პასუხის გაცემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს უკვე გაუჩნდა ეჭვი, რომ მაღალჩინოსნების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ჩვეულებრივ ადამიანებს შეიძლება პასუხი საკუთარი სიცოცხლით აგებინონ.

ამ ორი წლის მანძილზე ხელისუფლება ამ დონის გამოწვევის წინაშე იშვიათად მდგარა, რადგან დღეს ბეწვზე ჰკიდია ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი რამ - საზოგადოების ნდობა. ამ ნდობის დაბრუნება, განსაკუთრებით პოლიციის მიმართ, დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა ხელისუფლებას. მისი შენარჩუნება კი ამ ეტაპზე გირგვლიანის საქმის გამოძიებაზეა დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა მინისტრი პირველად მაშინ შეცდა, როდესაც ამ ფაქტზე თავიდანვე არ მოახდინა რეაგირება. თავიდანვე საჭირო იყო საზოგადოებისთვის იმის თქმა, რომ საქმის კურსშია და არ დაინდობს არც მისი უწყების თანამშრომლებს, თუ ისინი ამ საქმეში გარეულნი არიან.

ეს განცხადება მერაბიშვილმა უკვე მოგვიანებით გააკეთა, მაშინ, როდესაც ამ ამბისგან უკვე პოლიტიკური ტალღა იყო აგორებული და როდესაც მედიას მისი პრესკონფერენციიდან მხოლოდ ქათმის გრიპის შესახებ გაკეთებული განცხადებები აინტერესებდა.

რა უნდა გაკეთდეს ახლა, როდესაც მხოლოდ განცხადებებით საზოგადოების გამხნევება დაგვიანებულია?

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსულ ბანკებს მოლდოვაც უჩივის

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ილარიონ არღუნი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ბანკების საქმიანობას ეხებოდა. "ეს აბსურდია. ამ განცხადებებით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ტერორისტების დაფინანსებას ცდილობს," - ამტკიცებს თვითაღიარებული აფხაზეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ილარიონ არღუნი უარყოფს ქართული მხარის ინფორმაციას, რომ აფხაზეთში რუსული ბანკების საშუალებით ფულის "გათეთრება" ხდება. **"აფხაზეთის ტერიტორიაზე არც რუსეთის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის ბანკი არ ფუნქციონირებს,** - განაცხადა არღუნმა და ამის თაობაზე ქართული მხარის ბრალდებას "აბსურდული" უწოდა, - **ასეთი პრობლემები საქართველოს უფრო აქვს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებითაა გაჯერებული. ამიტომაც, მრავალი წლის განმავლობაში, პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტები უზრუნველად გრძნობენ თავს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თავისი განცხადებებით იმ ფინანსების შენიღბვას ცდილობს, რომლითაც ტერორისტები საზრდოობენ."**

არღუნის ამ განცხადების ფონზე საინტერესოა რუსეთის მხრიდან გავრცელებული ინფორმაციები. კერძოდ, რუსულმა მედიამ საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციის სისწორე დაადასტურა. რუსული გამოცემის "ვზგლიადის" (Взгляд) კორესპონდენტთან საუბარში "ბანკ მოსკვის" (Банк Москвы) სოჭის ფილიალის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ხსენებულ ბანკს ათ აფხაზურ ბანკთან აქვს საკორესპონდენტო ურთიერთობა. მათ შორის, სოხუმში განლაგებულ "გარანტ-ბანკსა" და ე.წ. "აფხაზეთის შემნახველ ბანკთან". იგივე გაზეთი კიდევ ერთი მსხვილი რუსული ბანკის "ალფა-ბანკის" წარმომადგენლის მაქსიმ ტოპერის კომენტარს ბეჭდავს, რომელიც "ალფა-ბანკის" აფხაზეთის ბანკებთან საქმიანობას უარყოფს.

გაგრძელება A5 გვერდზე

საგადასახადო წნეხი მძიმდება

ბუნტმა კანონის აღსრულებას ხელი ვერ შეუშალა

ნინო ნატროშვილი

საკონტროლო-სალარო აპარატების შემოღებას ის მეწარმეები დაუპირისპირდნენ, რომელთათვისაც საგადასახადო კოდექსში 2005 წლის დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესრულება სავალდებულო გახდა. ყველაზე მძაფრად ხელისუფლების ინიციატივა ბაზრობებზე მოვაჭრეებმა გააპროტესტეს, თუმცა შედეგი ვერ მიიღეს. ფინანსთა სამინისტრომ "ჩვენება არ შეცვალა", ხოლო ბაზრობების ადმინისტრაციამ პოზიციები ოდნავ დათმო.

ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის ინფორმაციით, მოვაჭრეებისთვის საკონტროლო-სალარო აპარატებს ბაზრობების ადმინისტრაცია შეიძენს და დაამონტაჟებს კიდეც, რის შემდეგაც თითოეულ მოვაჭრესთან ინდივიდუალური ხელშეკრულება გაფორმდება, რომელიც აპარატის ღირებულების დაფარვის ვადებს განსაზღვრავს.

"ახალი ინიციატივა მისასალმებელია, რადგან ბაზრობებზე მოვაჭრეთა დიდ ნაწილს სოციალურად გაჭირვებული ადამიანები წარმოადგენენ და აპარატის თანხის გადახდა მათთვის შეიძლება მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს," - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა სახელდახელოდ გამართულ ბრიფინგზე, რომელსაც ბაზრობების ადმინისტრაციების წარმომადგენლები და მეწარმეები ესწრებოდნენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

აჭარის პარლამენტში გადამფრენი ფრინველების არშემოშვებას განიხილავენ

ხელვაჩაურში საგანგებო მდგომარეობა ძალაში შევიდა. რაიონის მოსახლეობისაგან სანადირო თოფების ამოღება დაიწყო. აჭარის უმაღლეს საბჭოში კი მიიჩნევენ, რომ საგანგებო ზომები ქალაქ ბათუმშიც მისაღებია. რაც შეეხება თოფების ჩამორთმევას, დეპუტატთა აზრით, შესაძლებელია, ისევ ნადირობამ აჯობოს.

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ბრძანება, ხელვაჩაურის რაიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, პარლამენტმა 2 დღეში უნდა დაამტკიცოს, იგი უკვე ამოქმედდა. გუშინ აჭარის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობისაგან 150-ზე მეტი სანადირო თოფი ამოიღეს. ამასთან, რისკის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე რეგიონში ერთადერთ მეფრინველეობის ფაბრიკას ფრინველის განადგურება მოსთხოვეს. საწარმოს დირექტორის, ნოდარ თედორაძის განცხადებით, ფაბრიკა 5 ათასამდე ჯანმრთელი ფრინველის დაკვლით მნიშვნელოვან ზარალს განიცდის: **"ამ ფრინველს 4 თვის განმავლობაში კიდევ უნდა ეწარმოებინა კვერცხი. ჩვენი ზარალი 20 ათას ლარს აჭარბებს. ხელისუფლებას ვთხოვთ, ფრინველის გაყიდვის საშუალება მაინც მოგვცეს".**

ფრინველის გრიპის თავიდან აცილების პრობლემით აჭარის უმაღლესი საბჭოც დაინტერესდა. გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომა გაიმართა, სადაც მოწვეულნი იყვნენ სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის მინისტრები. სხდომაზე მინისტრების ნაცვლად მოადგილეები მივიდნენ, რომლებმაც ინფორმაცია გააკეთეს შექმნილი ვითარებისა და ჩატარებული სამუშაოების შესახებ. აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ყურადღება გაამახვილეს იმ თემაზე, რომ, როცა საგანგებო მდგომარეობა ცხადდება ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე, რატომ არ ხდება ზომების მიღება ქალაქ ბათუმში?! **"თუკი ავიღებთ ეპიცენტრიდან 3 კილომეტრიან რადიუსს, ის აუცილებლად გაივლის ქალაქის ტერიტორიაზეც. აქ რატომ არ ხდება ზომების მიღება, როცა ყველასათვის ცნობილია, რომ შინაური ფრინველი ქალაქშიც ბლომად ჰყავთ?! ტბები კი ბათუმის ტერიტორიაზეც გვაქვს, სადაც არანაკლები გარეული ფრინველა, ვიდრე აღლიაში,"** - განაცხადა დეპუტატმა დავით ბაციკაძემ.

რაც შეეხება პრეზიდენტის ბრძანებაში მოსახლეობისათვის თოფების ჩამორთმევის აუცილებლობას, ამ საკითხზე მეტად საინტერესო აზრი გამოთქვა უმაღლესი საბჭოს წევრმა ავთანდილ ბეჟანიძემ: **"რატომ ხდება, რომ შინაურ ფრინველს ინტენსიურად ვხოცავთ, გარეულ ფრინველებს კი, რომლებიც უშუალოდ გვიქმნიან საფთხეს, თუ არ დავხოცავთ, დავაფრთხოთ მაინც. ამ რაოდენობის გარეული ფრინველის შემოსვლა არავის ახსოვს. ხმელეთიც კი სავსეა წყლის ფრინველებით. ეტყობა, რომ არ ნადირობენ, ამიტომაა ამდენი. თოფის ჩამორთმევას, არ სჯობია ნადირობა გახშირდეს?!"**

ბეჟანიძეს ერთ-ერთმა დეპუტატმა სახუმარო რეპლიკა ესროლა: **"ეტყობა თბილ ქვეყნებში ეს ვირუსიანი ფრინველები დააფრთხეს და გამოგვიგზავნეს"**. თუმცა სხვა დეპუტატებმა ეს თემა სერიოზული მსჯელობის საგნად აქციეს. მალხაზ კალანდაძის განცხადებით, **"მონადირეების განცხადებით, როცა გადამფრენ ფრინველს დაშვებისას ესვრიან და ის ფრთხდება, 150 კილომეტრის მანძილზე აღარ ეშვება. ჩვენი დეპუტატი, მირიან ნუმანიშვილი თავად მონადირეა. მან ასეთი წინადადება შემოგვთავაზა: 150 მონადირეს ჩავაყენებ პერიმეტრზე და ფრინველების შემოსვლის მაქსიმალურად შეზღუდვა სრულიად შესაძლებელიაო".**

ბრძოლა "ფრინველის გრიპთან" და... მინისტრებთან

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის სასესიო დღის წესრიგი რამდენიმე მინისტრის მოსმენას ითვალისწინებს.

დღეს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე დაადასტურებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დადგენილებას, "ფრინველის გრიპის" საფრთხის გამო, ხელვაჩაურის რაიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. საგანგებო მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური უფლებების შეზღუდვასაც გულისხმობს. თუმცა, ეს შემთხვევა გამონაკლისია - იგი არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მუშაობის შეჩერებას, გამოხატვის თავისუფლების აკრძალვას და ა.შ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი "24 საათთან" საუბარში განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ საკუთრებისა და გადაადგილების უფლების შეზღუდვაზე, ცალკეული სამთავრობო სტრუქტურებისთვის ჩხრეკისა და დათვალიერების უფლების მინიჭებაზე...

"ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელია, რადგან მოსახლეობის მხრიდან ზოგჯერ ადგილი აქვს შინაური ფრინველის გადამალვის ფაქტებს," - აცხადებს ლევან ბეჟაშვილი.

თუ "ფრინველის გრიპის" გავრცელების საფრთხე, ხელვაჩაურის გარდა, სხვა რაიონებშიც გაჩნდება, ქვეყანას, ეპიდემიოლოგიურთან ერთად, საკანონმდებლო სირთულეებიც დაემუქრება: პარლამენტი იძულებული გახდება, თითოეულ რაიონში ცალ-ცალკე დაადასტუროს პრეზიდენტის განკარგულებები საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, რაც მთავრობას ოპერატიულად მოქმედების საშუალებას მისცემს. ასეთი ნაბიჯის გადადგმას საპარლამენტო უმრავლესობა, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, უახლოესი მომავლისთვის გეგმავს.

"ფრინველის გრიპის" შემოტევის მოგერიება, ასე თუ ისე, შესაძლებელია, მაგრამ ამ დღეებში პარლამენტი მინისტრების მოზღვავებას ნამდვილად ვერ აუვა. დღეს საკანონმდებლო ორგანოში შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს ელოდებიან, რომელიც დეპუტატებს სანდრო გვირგვლიანის მკვლელობის გამოძიების თაობაზე ინფორმაციას მიაწვდის; ხუთშაბათს კი სამთავრობო საათზე ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელები მიბრძანდებიან. ისინი პარლამენტში ოპოზიციამ "მიიპატიჟა", რათა ენერგობლოკადის დღეებში ირანისგან შესყიდული ბუნებრივი აირის საფასური გაარკვიოს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ოპოზიცია საკონტროლო-სალარო აპარატების თემატიკითაც დაინტერესდა. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარემ დავით ზურაბიშვილმა მოითხოვა, რომ მათი სავალდებულო გამოყენების ამოქმედების ვადა (1 მარტი), მინიმუმ, ერთი თვით მაინც გადაიდოს, რათა ახალ რეალობას მოვაჭრეები მომზადებულები შეხვდნენ.

პარლამენტის ხელმძღვანელობა ოპოზიციის მოთხოვნას არ ეთანხმება. ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების სავალდებულო გამოყენების გადავადება კი არა, კონტროლის გამკაცრებაა საჭირო. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ოპონენტებს შეახსენებს, რომ ხელისუფლება მოვაჭრეების ინტერესებს ითვალისწინებს და მათ საშუალებას აძლევს, საკონტროლო-სალარო აპარატები ექვსთვიანი განვადებით შეიძინონ.

"დღეს პრემიერ-მინისტრი იმ მოვაჭრეებს შეხვდება, ვინც საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებას აპროტესტებს. საჭირო ახსნა-განმარტებების შემდეგ საკითხის სიმწვავე, ალბათ, შერბილდება," - იმედოვნებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

სერგეი ბაგაფში: რუს სამშვიდობოებს ხალხი არ გაუშვებს

დაახლოებით ათი დღის წინ ქართულმა მხარემ კონფლიქტის ზონაში განლაგებულ რუს სამშვიდობოებს ვიზების გაფორმება მოსთხოვა. ქართული მხარე მშვიდობისმყოფელებს აფრთხილებს, რომ 10 მარტამდე მათ საქართველოში ყოფნის ლეგალიზება უნდა მოახდინონ, ანუ მიიღონ საქართველოს ვიზები. ქართული მხარის მოთხოვნას სერგეი ბაგაფში ეხმაურება და აცხადებს, რომ აფხაზური მხარე აღნიშნულ მოთხოვნას ნაწილობრივ შეასრულებს.

ნათია მსხილაძე

გასულ კვირას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონებში მოქმედი, რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურებს, გენერალ-ლეიტენანტ სერგეი ჩაბანსა და გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვს, სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებისთვის საქართველოს ვიზების გაფორმება 10 მარტამდე მოსთხოვა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალები დსთ-ს ეგიდით, "ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ" 1994 წლის მოსკოვის 14 მაისის ხელშეკრულების შესაბამისად დგანან. ამჟამად მათი რაოდენობა კონფლიქტის ზონაში 2000 ჯარისკაცს შეადგენს. შეთანხმების შესაბამისად, რუსი სამშვიდობოების 500-კაციანი ბატალიონი ზუგდიდის რაიონშია განლაგებული.

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ქართული მხარის მოთხოვნას მოსკოვში ყოფნისას რუსული მედიის საშუალებით გამოეხმაურა. მისი განცხადებით, საქართველოს ვიზებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის ქართულ მხარეს განლაგებული, რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცები მიიღებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაგაფშს სამშვიდობოებისთვის საქართველოს ვიზების 10 მარტამდე გაფორმების შესახებ ქართული მხარის მოთხოვნაზე დსთ-ს სამშვიდობო ძალების მეთაური გენერალ-ლეიტენანტი სერგეი ჩაბანი ესაუბრა. **"აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობოებს ვიზები არ სჭირდებათ, ხოლო ის სამშვიდობოები, რომლებიც საქართველოს, და არა აფხაზეთის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურის მეორე ნაპირზე იმყოფებიან, საქართველოს ვიზებს მიიღებენ,"** - განაცხადა სერგეი ბაგაფშმა. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობოები კონფლიქტის ზონის დატოვებას გადაწყვეტენ, მათ "ხალხი არ გაუშვებს." **"ჩემი აზრით, სამშვიდობოები არ გავლენ. მათ, უბრალოდ, ხალხი არ გაუშვებს. თუ სამშვიდობოებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონა მაინც დატოვეს, აფხაზური მხარე მზად არის, მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები დაიკავოს და მოვლენათა ყველა სავარაუდო სცენარის შესაბამისად იმოქმედოს,"** - აღნიშნა ბაგაფშმა. ამასთან ერთად, ბაგაფში სამხრეთ ოსეთში საომარი სიტუაციის შექმნის საკითხსაც ეხება. მისი თქმით, თუ სამხრეთ ოსეთში ომი დაიწყო, აფხაზეთი კოკოითის რეჟიმს მხარს ყოველმხრივ დაუჭერს. მოსკოვში ვიზიტით მყოფი ბაგაფში კოკოითსაც შეხვდა და ეს განცხადება კოკოითთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

რუსული პასპორტი გადაადგილების პრობლემას არ ხსნის

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი პასპორტების გაცემა 2006 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

თუმცა, როგორც ირკვევა, პასპორტიზაციის მიუხედავად, "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" მოსახლეობა რუსეთის საზღვარს უპრობლემოდ ვერ კვეთს.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მაგიდის უფროსის ვლადიმერ თედეევის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობისათვის რუსეთის პასპორტების გაცემის პროცესი დიდ დროს მოითხოვს, მისი დაჩქარება ოსურ მხარეს "არანაირად არ შეუძლია".

ვლადიმერ თედეევის განმარტებით, ყველა დოკუმენტი ჯერ ვლადიკავკაზში, შემდეგ მოსკოვში საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მაგიდის უფროსის ვლადიმერ თედეევის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობისათვის რუსეთის პასპორტების გაცემის პროცესი დიდ დროს მოითხოვს, მისი დაჩქარება ოსურ მხარეს "არანაირად არ შეუძლია".

ვლადიმერ თედეევის განმარტებით, ყველა დოკუმენტი ჯერ ვლადიკავკაზში, შემდეგ მოსკოვში ხვდება და პასპორტების გაცემამდე საგულდაგულო შემოწმებას გადის.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოსახლეობა რუსეთის მოქალაქეობას იღებს, მათ რუსეთის საზღვრის გადაკვეთისას სერიოზული პრობლემები ექმნებათ.

"დღეისათვის არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, რომლითაც მოქალაქეებს რუსეთის საზღვრის გადაკვეთა უპრობლემოდ შეეძლებათ," - აღნიშნავს ვლადიმერ თედეევი.

მისი განმარტებით, საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად საპასპორტო სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა და იმედოვნებს, რომ აღნიშნული პრობლემა რუსულ მხარესთან შეთანხმებით გადაწყდება.

ინტერპრესნიუსი

ვაქცინას მარტში გამოცდიან

"ფრინველის გრიპის" საწინააღმდეგო ვაქცინას, რომელზეც რუსი სპეციალისტები მუშაობენ, მარტის შუა რიცხვებში გამოცდიან. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშენკომ განაცხადა. "ჩვენ მიერ შექმნილმა ვაქცინამ გაიარა გამოცდა იმუნოგენურობაზე, ახლა კი სტერილიზაციაზე ვცდით, რაც მარტის შუა რიცხვებში დასრულდება. ამის შემდეგ ვაქცინას მოხალისეებზე გამოვცდით," - აღნიშნა ონიშენკომ.

რუსეთის მთავარმა სანიტარმა განაცხადა, რომ რუსული ვაქცინა მაღალსპეციფიკური არ არის. ამდენად, "ფრინველის გრიპის" პანდემიის შემთხვევაში მხოლოდ მისი იმედი არ უნდა გვქონდეს. "ჩვენი სამუშაო, H5N1-ს ფართო გავრცელების შემთხვევაში, მზადყოფნას ემსახურება," - განმარტა ონიშენკომ, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა რუსეთის მოქალაქეებს, რომ არ თქვან უარი ქათმის ხორცის მიღებაზე, რომელიც მაღაზიებსა და ბაზრებში იყიდება.

ამ დროს "ფრინველის გრიპი" რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში ვრცელდება. დაღესტნის საგანგებო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, "ფრინველის გრიპის" შემთხვევები დაღესტნის რესპუბლიკის 10 რაიონსა და 5 ქალაქში დარეგისტრირდა. ვირუსი აღმოაჩნდა შინაურ და გარეულ ფრინველებს, რის შემდეგაც მეფრინველეობის ფაბრიკებში ფრინველების, აგრეთვე, გადამფრენი ფრინველების დახოცვა გადაწყვიტეს.

24 საათი

კონსულტაციების მორიგი რაუნდი მოსკოვში

2006 წლის 27 თებერვალს, ქართული მხარის ინიციატივით, გაიმართა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შორის.

მინისტრებმა მიმოიხილეს ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი, მათ შორის, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისა და სამშვიდობო ოპერაციების პრობლემატიკა, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების სავიზო უზრუნველყოფისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემის განახლების საკითხები. მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორ ქვეყანას შორის დიალოგისა და კონსულტაციების გაგრძელების აუცილებლობას.

საგარეო საქმეთა მინისტრების დავალებით, მინისტრის მოადგილეები 28 თებერვლიდან მოსკოვში გამართავენ კონსულტაციებს, სადაც განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს და შეიმუშავებენ საქართველოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელ ნაბიჯებს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო

მოკლედ

პალესტინა დახმარებას ახალი მთავრობის ფორმირებამდე მიიღებს

პალესტინის ადმინისტრაცია ევროკავშირის დახმარებას "ჰამასის" მიერ ავტონომიის ახალი მთავრობის ფორმირებამდე მიიღებს.

ევროკავშირი და აშშ "ჰამასს" ტერორისტულ ორგანიზაციად თვლიან და აცხადებენ, რომ თუ დაჯგუფება ძალადობაზე უარს ოფიციალურად არ იტყვის და ისრაელის სახელმწიფოს არ აღიარებს, ისინი პალესტინის ხელისუფლების დაფინანსებას შეწყვეტენ.

ექსპერტთა თქმით, ევროკომისიის მიერ გამოყოფილი თანხა - დაახლოებით, 100 მილიონი ევრო, პალესტინის ადმინისტრაციას კომუნალური მომსახურების ხარჯებისა და ჩინოვნიკთა ხელფასებისთვის ორ თვეს ეყოფა. კერძოდ, ამ თანხიდან ნაწილი ელექტროენერგიის და გათბობის საფასურის გადახდას მოხმარდება, უდიდეს ნაწილს "ყველაზე გაჭირვებულები" პირდაპირი დახმარების სახით, გაერო-ს მეშვეობით მიიღებენ, 17,5 მილიონი ევრო კი მსოფლიო ბანკის სატრასტო ფონდს გამოეყოფა. ეს ფული პალესტინის ხელისუფლების საჭიროებისთვის, მათ შორის, სახელმწიფო ჩინოვნიკთა ხელფასებისთვისაა განკუთვნილი.

როგორც ევროკომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა აღნიშნა, ევროკომისიის ამ გადაწყვეტილების მიზანი პალესტინის ავტონომიის მეთაურის, უფრო ზომიერი მოძრაობა "ფათჰის" ლიდერ მაჰმუდ აბასის მხარდაჭერაა. ***ინტერპრესნიუსი***

ტერორიზმს არაბებიც ებრძვიან

საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში უშიშროების ძალების მიერ გუშინ ჩატარებული ოპერაციის შედეგად 5 შეიარაღებული ექსრემისტია მოკლული. ხელისუფლების მონაცემებით, ბოევიკები საერთაშორისო ტერორისტულ ქსელთან "ალ-ქაიდასთან" იყვნენ დაკავშირებული და, სავარაუდოდ, იმ ჯგუფში შედიოდნენ, რომელსაც გასულ პარასკევს საუდის არაბეთის მსხვილ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოზე თავდასხმა უნდა განეხორციელებინა.

ტელეარხ "ალ-არაბიას" ინფორმაციით, შეტაკება იმ დროს მოხდა, როცა პოლიციამ თავდასხმასთან კავშირში ეჭვმიტანილების დაპატიმრება სცადა. ბოევიკებმა ერ-რიადის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთ ვილას შეაფარეს თავი.

გავრცელებული ინფორმაციით, ალყაშემორტყმული სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან სროლის და ყუმბარების აფეთქების ხმა ისმოდა. მალე უშიშროების ძალებმა ვილა შტურმით აიღეს. ხელისუფლების მონაცემებით, იქ დიდი ოდენობით იარაღია აღმოჩენილი. ***ინტერპრესნიუსი***

მოკლედ

პრეზიდენტის საჩუქარი კახელებს

სულ მალე კახელ გლეხებს, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მოახლოებულ საგაზაფხულო ხვნა-თესვასთან დაკავშირებით, გვარჯილა დაურიგდებათ, სავარაუდოდ, კომლზე 24 კილოგრამი. ამ დროისთვის ყველა რაიონის გამგეობაში სიების შედგენა მიმდინარეობს, რასაც კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია აკონტროლებს. თუმცა კახელებისთვის მთავარ პრობლემას საწვავის სიძვირე წარმოადგენს, რის გამოც ნაკვეთების 70 პროცენტი დაუმუშავებელია. ამ პრობლემის გაცნობას რეგიონის ხელმძღვანელობა პრემიერ მინისტრისთვის ამ დღეებში აპირებს. ***24 საათი***

ცხელი ხაზის დამატებითი ნომრები

ფრინველის გრიპის გავრცელების პრევენციის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამუშავდა ცხელი ხაზის დამატებითი ნომრები. ფრინველის დაცემის საეჭვო შემთხვევების გამოვლენისას, მოქალაქეებს შეუძლიათ სამინისტროს დაუკავშირდნენ შემდეგ ტელეფონებზე: **(32) 98 57 81; (32) 99 56 20; (32) 92-01-12. მედიანიუსი**

საკურორტო სეზონი და ფრინველის გრიპი

ფრინველის გრიპი საკურორტო სეზონისთვის ამჟამად საფრთხეს არ წარმოადგენს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, საკურორტო სეზონს საშიშროება არ ემუქრება, თუ ვირუსით ადამიანის დაავადების შემთხვევა არ დაფიქსირდა.

ფრინველის გრიპის შემთხვევა გარეულ ფრინველში აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიას მახლობლად 23 თებერვალს გამოვლინდა.

კლინიკურ-ეპიზოოტიურ მონაცემებსა და ლაბორატორიულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ფრინველის გრიპის გამოვლინის სხვა საეჭვო შემთხვევა აჭარის ტერიტორიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში დღემდე არ დაფიქსირებულა. **პრაიმ-ნიუსი**

სტუდენტების სარჩელი პრეზიდენტის ბრძანებულების საპასუხოდ

სტუდენტური გაერთიანებები - "ახალი სტუდენტური ალტერნატივა" და "უნივერსიტეტელი" სტუდენტების უფლებებს სასამართლოში დაიცავენ.

საქმე ეხება საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 3 იანვრის N4 ბრძანებულებას, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევითობის ჩატარების და საარჩევნო დებულების დამტკიცების უფლებამოსილებას აძლევს.

"ჩვენ, სტუდენტურმა გაერთიანებებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" დახმარებით, მოვამზადეთ სარჩელი ზემოხსენებული ბრძანებულების ბათილად ცნობის შესახებ. უნივერსიტეტის სტუდენტებს მიგვაჩნია, რომ რექტორთა მიერ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევითობის დებულების დამტკიცება არის პირდაპირი ჩარევა სტუდენტური საქმეებში და თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება თვითმმართველობის პრინციპს და კანონს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ.

ჩვენ სასამართლოს გზით ვეცდებით ამ პრინციპის დაცვას და მოვუწოდებთ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაგვიდგნენ გვერდით," - ნათქვამია სტუდენტთა განცხადებაში სტუდენტები დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელს შეიტანენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ორი სიტყვით

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "სახალხო ფორუმი" საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, მხარი დაუჭიროს საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას ეხება.

მოძრაობის ლიდერის, აკაკი ასათიანი განცხადებით, თუ პარლამენტი აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას არ დაუჭერს მხარს, ეს ნიშნავს, რომ ის ხალხის ნების წინააღმდეგ მიდის. მისი თქმით, "სახალხო ფორუმმა" პარლამენტს მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შესახებ კანონპროექტი და 75 ათასი ხელმოწერა წარუდგინა. აქედან, პარლამენტმა 15 ათასი ხელმოწერა დაიწუნა, თუმცა საკითხის პლენარულ სხდომაზე გასატანად 30 ათასი ხელმოწერა საკმარისია. ასათიანის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ბიურო ამ საკითხის სესიაზე გატანაზე უარს იტყვის, "სახალხო ფორუმი" მილიონამდე ხელმოწერას შეაგროვებს. ძალების შემადგენლობა 2003 წლის 3 აგვისტოდან ასრულებს. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

ოპოზიციის მოთმინება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გარდა საპარლამენტო ოპოზიციისა, ძალოვანებთან შეკითხვები არადეპუტატებსაც მრავლად აქვთ.

ᲐᲚᲘ ᲑᲔᲚᲐᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"ახალი მემარჯვენეებისა" და "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები, ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მთლიანად სანდრო გირგვლიანის მკვლელობას და ამ საქმის გამოძიებას ეძღვნებოდა, შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს ელოდნენ, ყოველ შემთხვევაში სწორედ ისინი მიიწვიეს მათ და წინასწარ კითხვარებიც გაუგზავნეს. თუმცა, სამართალდამცველი ორგანოების პირველმა პირებმა ოპოზიციის მიწვევა არ მიიღეს. სამაგიეროდ, დღეს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონმდებლების შეკითხვებზე პასუხის გაცემას ვანო მერაბიშვილი უპრობლემოდ დათანხმდა.

"მერაბიშვილმა და ადეიშვილმა დღეს პარლამენტში მოსვლა არ ინებეს. როგორც ჩანს, მათთვის ეს ტრიბუნა არასასურველია. ასევე არასასურველია ის საზოგადოებაც, რომელიც დღეს შეიკრიბა. მათთვის უმჯობესია პარლამენტის სხდომაზე გამოვიდნენ, სადაც ის უმრავლესობა ეგულებათ, რომლის 90 პროცენტი თვით მერაბიშვილის დაკომპლექტებულია. მათთან, ცხადია, უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს," - განაცხადა სხდომის დაწყებისას მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

პარლამენტარ კობა დავითაშვილისთვის კი მინისტრისა და გენერალური პროკურორის ოპოზიციის წინაშე არგამოცხადება უკვე თავისთავად აღმოჩნდა პასუხი ყველა შეკითხვაზე:

"მე პასუხი უკვე მივიღე. პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის არმოსვლა და გურამ დონაძის თავხედური გამოჩენა ტელეეკრანებზე, ნათლად ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლება არაფრის გაკეთებას არ აპირებს ამ საქმის გამოსაძიებლად, ისევე როგორც არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გამოძიებულიყო დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა. გირგვლიანის საქმეში ხომ გამოსაძიებელიც ბევრი არაფერია - არსებობენ მოწმეები, რომლებიც ყველაფერს ყვებიან, გამოძიებას კი მკვლელობის ალტერნატიული ვერსია არ გააჩნია. მსგავს შემთხვევებში ადეკვატური რეაგირების არარსებობა არის პირდაპირი მუქარა ნებისმიერი მოქალაქის მიმართ - თუ არ მოეწონება რომელიმე ძალოვან მაღალჩინოსანს ჩვენი სიტყვა, ან გვცემენ, ან მოგვკვლავენ," - აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელ ორსაათიან სხდომას არ შეუცვლია ოპოზიციონერთა მიერ წინასწარ გამზადებული განცხადების შინაარსი, რომელსაც სხდომის დასასრულს მოეწერა ხელი და რომელშიც ნათქვამია:

"კრიმინალებთან ბრძოლა საქართველოს მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებაში მყოფი დამნაშავეების გამოყოფითა და დასჯით უნდა დაიწყოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ეჭვი მიტანილია შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებზე, ვაცხადებთ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლიტიკური პასუხისმგებლობა პირადად ვანო მერაბიშვილს ეკისრება. აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ : 1) სასწრაფოდ გადაყენებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ახალაია, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი სანოძე, შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დონაძე, შსს სისტემის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, საქმე საგამოძიებო ქვემდებარეობით გენერალურ პროკურატურას გადაეცეს".

ოპოზიციის მიერ გაგზავნილ კითხვებს, მერაბიშვილის ნაცვლად, პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა გასცა, ზურაბ ადეიშვილის მაგივრად კი გენერალური პროკურატურიდან სხდომაზე მისი მოადგილის მიერ ხელმოწერილი წერილი გაგზავნეს, რომელიც, ფაქტობრივად, იმავე ინფორმაციას შეიცავდა, რაც შოთა უტიაშვილისგან მოისმინეს ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა.

პარლამენტართა მიერ გაგზავნილ კითხვებზე სამართალდამცველთა მიერ გაცემული პასუხები კი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო აღძრულია სქმე სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რომელიც განზრახ მკვლელობას ითვალისწინებს. საქმეს იძიებს თბილისის პოლიციის სამმართველო, გამოძიებას საპროცესო ზედამხედველობას კი თბილისის პროკურატურა უწევს. გამოძიება მიმდინარეობს და ბევრი საგამოძიებო მოქმედება უკვე ჩატარებულიც კია, მათ შორის დაკითხულნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ის მაღალჩინოსნები, რომლებთან წამოჭრილ უთანხმოებასაც უკავშირებენ გირგვლიანის ოჯახის წევრები და ახლობლები მომხდარს. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე დათა ახალაია და მისი მოადგილე ოლეგ მელნიკოვი, გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გურამ დონაძე და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია გამოძიებამ მოწმეებად დაკითხა. მათი ჩვენებების შინაარსი, ისევე როგორც საქმის სხვა დეტალები, გამოძიების დასრულებამდე საჯარო ვერ გახდება.

გუშინდელ სხდომაზევე პარლამენტარებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დამატებითი შეკითხვები დასვეს, გაცილებით კონკრეტული, ვიდრე იყო გაგზავნილი. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შოტა უტიაშვილმა დაიწყო და მოასწრო კიდეც იმის თქმა, რომ ვერცხლისფერი ML-ის მოდელის "ჯიპი", რომლითაც, მოწმეთა მტკიცებით, გირგვლიანი და მისი მეგობარი გაიტაცეს, საქართველოში 300-მდეა, რომ გირგვლიანის მკვლელობის ღამით, ოქროყანისკენ მიმავალ გზაზე დაყენებულ ვიდეოგადამღებს, მართალია, დაფიქსირებული აქვს მსგავსი მანქანა, მაგრამ ფირზე მისი ნომერი არ ჩანს, რომ ამოღებულია მობილური სატელეფონო ზარების ნუსხა და ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა და კიდევ: **"შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით არც ერთი თანამშრომლის გათავისუფლებას არ აპირებს, თუ არ იქნება დამტკიცებული მათი ბრალეულობა."**

მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეს პარლამენტარებმა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის კომპეტენცია და უფლებამოსილება ვერ წვდება მათ კითხვებზე პასუხის გაცემას და მას მხოლოდ ამ კითხვების მინისტრისთვის გადაცემა დაავალეს, რათა დღეს, საპარლამენტო საათზე მისულმა მერაბიშვილმა მათზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეძლოს.

მერაბიშვილი სცილასა და ქარიბდას შორის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მოთხოვნა, რომელსაც ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ოპოზიცია აყენებს და - არა მხოლოდ ოპოზიცია, ორია: საქმის პროკურატურისათვის გადაგზავნა და ბარში მყოფი მაღალჩინოსნებისგან (ახალაია, სანოძე, დონაძე) მინიმუმ ერთის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან.

კანონის მიხედვით, ამ საქმის გამოძიებაზე ზედამხედველობას პროკურატურა ისედაც ახორციელებს. ხოლო თუ ვინმეს სჯერა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი თავის თანამშრომლებს ხელს დააფარებს, ალბათ, იმასაც დაიჯერებს, რომ ამას ის პროკურატურაშიც მოახერხებს. ასე რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან პროკურატურაში საქმის გადაგზავნა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე არსებითს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რადგან გარდაცვლილის ოჯახს ასე სურს, მისი სურვილი გათვალისწინებული უნდა იყოს.

რაც შეეხება მეორე მოთხოვნას: საზოგადოება შსს მაღალჩინოსნების თავებს ან მინიმუმ ერთ თავს მაინც ითხოვს. ძირითადად აქცენტი მაინც გურამ დონაძეზე კეთდება, რადგან საზოგადოების, განსაკუთრებით კი ჟურნალისტების თვალში ის თანდათან იძენს ოდიოზური ჩინოვნიკის ყველა მახასიათებელს. მანქანის ნომრიდან (დონ 001) დაწყებული, ჟურნალისტებთან უხეში მოქცევით დამთავრებული.

ხშირად ხელოვნურად აგორებული პოლიტიკური ტალღები უკვალოდ ქრება. მაგალითად ირაკლი კაკაბაძის ცემის თუ კონსერვატორი კუკავას გაძარცვის ფაქტები შეიძლება მოვიყვანოთ. ორივე შემთხვევა ოპოზიციამ პოლიტიკურ ზეწოლასა და ტერორს დაუკავშირა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ არც ერთ ფაქტთან ხელისუფლებას კავშირი არ ჰქონია.

ბუნებრივია, გირგვლიანის მკვლელობის ფაქტი გაცილებით უფრო მძიმეა, გაცილებით მეტ კითხვას აღძრავს და გაცილებით რთული იქნება ამ საქმის გახსნა. მაგრამ გამოძიების დამთავრებამდე ეჭვების გამო შსს თანამშრომლების უპირობო დადანაშაულება, მხოლოდ ამ ეჭვზე დაფუძნებული ვერსიის ჭეშმარიტებად გამოცხადება და პოლიტიკური პროცესების ინსპირირება, აბსოლუტურად არასწორი და გაუმართლებელია.

იმას, რომ დღეს ეს ჩინოვნიკები ისევ თავიანთ თანამდებობებზე რჩებიან, ერთადერთი გამართლება აქვს. თუ შინაგან საქმეთა მინისტრი რომელიმე მათგანს თანამდებობას დაატოვებინებს, ეს შეიძლება პირდაპირ იყოს აღქმული, როგორც ამ ადამიანებისთვის დანაშაულის დაბრალება.

მაგრამ თუ ამ შემთვევაში გამართლება მაინც არსებობს, ეჭვს არ იწვევს ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, როგორც მინიმუმ, უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებთან საკუთარი მოსაზრებები სამინისტროს პოზიციად გამოაცხადა.

სულ ახლახან რადიო "თავისუფლებამ" ერთი თვით უფლებამოსილება შეუწყვიტა ერთ-ერთ კორესპონდენტს სწორედ იმის გამო, რომ მან თავის სუბიექტურ მოსაზრებებზე აგებულ სტატიას ხელი მოაწერა, როგორც რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტმა. ეს ეთიკის ელემენტარული ნორმაა ნებისმიერ ნორმალურ ორგანიზაციაში და ამ ნორმის დარღვევის შემთხვევაში თანამშრომელი ისჯება.

როდესაც გურამ დონაძე აცხადებს, რომ ბინძური პოლიტიკური კამპანიის შემკვეთებს საკადრისად მიეზღვებათ და მკვლელობის საკუთარი ვერსიის ტირაჟირებას აკეთებს, ეს სწორედ რომ ელემენტარული ეთიკური ნორმის დარღვევაა. უფრო მეტიც, ამ კონკრეტულ სიტუაციაში მისი ეს განცხადება თავისუფლად შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მედიაზე და გამოძიებაზე წეზოლის მცდელობა. ეს კი საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ მინისტრს პრესსახურის უფროსისათვის, მინიმუმ, უფლებამოსილება შეეწყვიტა.

შინაგან საქმეთა მინისტრს დღეს, ალბათ, ამ კითხვაზეც მოუწევს პასუხის გაცემა და პარლამენტის ტრიბუნიდან საზოგადოების დარწმუნება, რომ გამოძიება ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ჩატარდება. ამაში კი მას ვერაფერი დაეხმარება, საკუთარი გულწრფელობის გარდა.

ინფორმაციული ომი და მშვიდობა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართველი ხალხის განწყობას რუსი ხალხის მიმართ. რუსები ძალიან ახლობელი ხალხია ჩვენთვის.

მერწმუნეთ, საქართველოში არანაირი რუსოფობია არ არის და არც შეიძლება იყოს. თქვენ იცით, არის ქვეყნები, სადაც რუსოფობია ნამდვილად არსებობს, მაგრამ არა საქართველოში. ეს ოპტიმიზმის დიდ საფუძველს მაძლევს," - აღნიშნა საკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველო საკუთარ ტერიტორიაზე ნატო-ს ბაზების განთავსებას არ აპირებს. პრეზიდენტმა აბსურდული უწოდა ზოგიერთი საინფორმაციო საგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში აშშ საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებას აპირებს. **"ნატო ჩვენთვის პოლიტიკური არჩევანია. საქართველო მიისწრაფვის ევროპისკენ, ცხადია, რუსეთთან ერთად. ნატო დღეს უფრო პოლიტური ორგანიზაციაა, ვიდრე სამხედრო... ნატო-ს წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ არ აპირებენ საქართველოში სამხედრო ბაზების გახსნას და ეს არც ჩვენ გვინდა. ნატო-ს უნდოდა ბაზები რუმინეთში, ამის შესახებ ღიად აცხადებდა და რუმინეთმა მათ ამის უფლება მისცა... ვფიქრობ, ნატო-ში გაწევრიანება დაგვეხმარება, უფრო კონსტრუქციულად მივუდგეთ კონფლიქტების მოგვარების საკითხს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კონფლიქტების მოგვარებას რაღაც კონფრონტაციის ხარჯზე ვაპირებთ. პირიქით, კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ გზად ჩვენ მშვიდობიანი გზა მიგვაჩნია... მაგრამ სტატუს კვო არ იქნება. და ეს ყველამ იცოდეს. არსებული ვითარების ხელოვნურად შენარჩუნება არავის გაუვა. რუსეთმა ან მაქსიმალური სარგებელი უნდა ნახოს ამ სიტუაციიდან, ანუ დაიბრუნოს გაერთიანებული საქართველო, რომელიც მუდმივად მისი მეგობარი იქნება; ან, თუ ზოგიერთი პოლიტიკოსის და, განსაკუთრებით ხალხის ნაწილის ანტირუსული განწყობა გაგრძელდა, ეს ქვეყანა ნელ-ნელა ნატო-ს ბაზად იქცევა. ეს ჩვენ არ გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო ნეიტრალური ქვეყანა იყოს, ისევე როგორც ავსტრია, შვეიცარია, ფინეთი, შვედეთი. ეს ჩვენი ოცნებაა. ეს ჩვენი მიზანია. ეს ჩვენი სტრატეგიული მიზანია. ეს ჩვენი ეროვნული ინტერესია. ეს ჩვენი ეროვნული იდეაა. ეს ჩვენი ეროვნული ოცნებაა. ეს ჩვენი ეროვნული მისწრაფებაა. ეს ჩვენი ეროვნული ამოცანაა. ეს ჩვენი ეროვნული ინტერესია

მოსამართლის უარი ადვოკატთა შუამდგომლობაზე

ინტერპრესნიუსი

შალვა რამიშვილის აზრით, მის სასამართლო პროცესს ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების - შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ადვოკატებმა განსასჯელების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება კიდევ ერთხელ მოითხოვეს.

აღნიშნული შუამდგომლობა ადვოკატებმა დავით კორკოტაშვილმა და გოჩა სვანიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინდელ სხდომაზე დააყენეს.

როგორც დავით კორკოტაშვილმა განაცხადა, აღარ არსებობს რამიშვილისა და კოხრეიძის წინასწარი პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობის საფუძვლები, რომლებზეც ბრალდების მხარე მიუთითებდა. ადვოკატის თქმით, 2005 წლის 29 აგვისტოს, როდესაც რამიშვილისა და კოხრეიძის წინასწარი პატიმრობის საკითხი განიხილებოდა, მოსამართლემ ბრალდებულების დასაპატიმრებლად ერთადერთ არგუმენტად მოწმეებზე მავნე ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობა და ბრალდებულთა მიმალვის საშიშროება დაასახელა.

დავით კორკოტაშვილის განმარტებით, ბრალდებულების მიმალვის საფრთხის არსებობა მოსამართლემ თავის დროზევე უარყო. ადვოკატის თქმით, მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარემ დაასრულა საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენა და მოწმეების დაკითხვა, განსასჯელები ვეღარ მოახდენენ მავნე ზეგავლენას პროკურორების მიერ დასახელებულ მოწმეებზე და არც მათი მიმალვის საშიშროება არსებობს.

როგორც შალვა რამიშვილმა გუშინ გამართულ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, მიმდინარე სასამართლო პროცესს ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ საქმეს საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. მისი თქმით, პროცესმა პარლამენტის წევრთა რაოდენობის ცვლილებაც კი გამოიწვია.

"ქალბატონო მოსამართლევ, თქვენი გადაწყვეტილებით, შეგიძლიათ დაადასტუროთ ის, რომ დღეს სასამართლოში მართლაც მიმდინარეობს რეფორმა ან რამდენიმე წლით გადადოთ სამართლის ზეიმი", - ასე მიმართა შალვა რამიშვილმა მოსამართლე ნინო სანდოძეს.

ადვოკატების მოთხოვნას, მათი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, ორივე განსასჯელმა დაუჭირა მხარი. თუმცა, როგორც პროკურორებმა განაცხადეს, პროცესზე ჯერ კიდევ არ დაუკითხავთ დაცვის მხარის მოწმეები და არ გამოკვლეულა მათი მტკიცებულებები, საქმესთან დაკავშირებით არც ახლად აღმოჩნილი გარემოებები არსებობს და, შესაბამისად, ამ ეტაპზე კოხრეიძისა და რამიშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რამდენიმესაათიანი ფიქრის შემდეგ მოსამართლე ნინო სანდოძემ მიღებული გადაწყვეტილება გამოაცხადა: ადვოკატების შუამდგომლობა არ გაიზიარა - ანუ შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე კვლავ ორთაჭალის საპყრობილეში დაბრუნდნენ.

24 საათი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 6 თებერვლის N25-ში ტრაქტორების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების

შ ე ს წ ო რ ე ბ ა

1. განცხადების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. ტენდერში მონაწილეობა დასაშვებია სუბ-კონტრაქტორების საშუალებით, რომლებზეც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადების მე-4 პუნქტში მითითებული შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები."

2. განცხადების მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"10. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ს/კ 203843010, ანგ. N200122900, სახაზინო კოდი 302003000"

3. აღნიშნული შესწორებით გაუქმებულად ჩაითვალოს 2006 წლის 11 თებერვლის N30 (1182) -ში გამოქვეყნებული შეწორებები.

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.

აფრასიძეების მსახური ჩვენებას ცვლის

ლევან კალაძის გატაცება-მკვლელობის საქმის გახსნას უამრავი კითხვა მოჰყვა, რასაც მომავალში გამოძიებამ უნდა უპასუხოს. მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნულ საქმეში წლების მანძილზე დამარხულ საიდუმლოებებს თანდათან უკვე ეხდება ფარდა.

თამარ კაკიტაძე

გუშინ ქუთაისის სასამართლოში ძმები - გოჩა და შმაგი აფრასიძეების პროცესზე მთავარი მოწმე - ვლადიმერ მურავიოვი დაიკითხა, რომლის ჩვენებაც სულ ცოტა ხნის წინ სამართალდამცველებს საფუძველს უმყარებდა, რომ ლევან კალაძის კვალი სვანეთში ეძებნათ; უფრო მეტიც, აფრასიძეების მოახლის მურავიოვის დაკითხვის ოქმით კიდევ უფრო გამყარდა პოლიციის მაღალჩინოსანთა ვერსია, რომ აფრასიძეები კალაძის გამტაცებლები იყვნენ.

სოფელ ეცერში განხორციელებული სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ, რა დროსაც ომეხ აფრასიძე და მისი მამა ევგენი აფრასიძე დაიღუპნენ, სამართალდამცველებმა გოჩა და შმაგი აფრასიძეებთან ერთად მათი მსახური ვლადიმერ მურავიოვიც დააკავეს და, მიუხედავად იმისა, რომ, საქმის ქვემდებარეობის მიხედვით, ისინი ზუგდიდის საპყრობილეში უნდა მოეთავსებინათ, პირდაპირ თბილისში გადაიყვანეს. იმ დროს აფრასიძეების ადვოკატები აღნიშნულ კანონდარღვევაზე ხმამაღლა საუბრობდნენ და იმასაც აცხადებდნენ, რომ პატიმრები დედაქალაქში ოპერატიული დამუშავების მიზნით ჩამოიყვანეს, რაც, ასევე, უკანონობა იყო. სხვათა შორის, "24 საათში" გამოქვეყნებულ წერილში აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი ღიად საუბრობდა, რა მეთოდებით მოახდინეს სამართალდამცველებმა მურავიოვისგან სასურველი ჩვენების მიღება, რომლის ოფიციალური დოკუმენტიც მას აქვს. თუმცა, მაშინ ადვოკატის განცხადებებს არავინ გამოხმაურებია. პოლიციის მაღალჩინოსნებისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ მურავიოვმა ლევან კალაძე და, ასევე, გატაცებული მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეების ოჯახში ნახა. დაკითხვის შემდეგ რუსი მსახური იმასაც იგონებდა, როგორ გაათრევინა ომეხ აფრასიძემ ორმო, რის შემდეგ ლევან კალაძე აღარ უნახავს. სხვათა შორის, იმ დროს, როცა ეცერში, ლევან კალაძის პოვნის მიზნით, სამარხის გათხრის გრანდიოზული სპეოპერაცია ჩატარდა, თბილისიდან მურავიოვიც ჩაიყვანეს, როგორც დანაშაულის კვალის მთავარი მაჩვენებელი. დღეს უკვე ფაქტია, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია ფარსი იყო, მაგრამ ამაზე მორალური პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია. აღარაფერს ვამბობთ აფრასიძეების ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიაზე, რომელის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ გახმაურებული გატაცებები იყო. დღეს ბევრი, მათ შორის, ლევან კალაძის ოჯახიც ფიქრობს, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია შეფასებას ნამდვილად საჭიროებს.

მით უფრო, რომ გუშინ ყველაფერს რეალური სახელი დაერქვა. ძმები აფრასიძეების სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ვლადიმერ მურავიოვმა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება კატეგორიულად უარყო. მისი თქმით, აღნიშნული აღიარება საპყრობილეში პოლიციელებმა წამების შედეგად დააწერინეს. სინამდვილეში კი არც ლევან კალაძე და არც მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეების ოჯახში არასოდეს უნახავს. აღნიშნული პიროვნებების ფოტოები პირველად სვანეთიდან თბილისში მომავალს მანქანაშივე აჩვენეს; მოგვიანებით კი იგივე ფოტოები მას სამინისტროში ამოაცნობინეს. როგორც მთავარი მოწმე ირწმუნება, მას შინაგან საქმეთა სამინისტროში ბათო საღინაძე, ზურაბ ბარბაქაძე და ბერდია ხვისტანი აწამებდნენ.

შეგახსენებთ, პოლკოვნიკი ბათო საღინაძე გახმაურებულ გატაცებებზე გიორგი ბარამიძის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში მუშაობდა. სამინისტროდან გათავისუფლების შემდეგ სწორედ საღინაძე საუბრობდა კალაძის გატაცებაში სვანური დაჯგუფების მონაწილეობაზე, დანაშაულის კახი კალაძის ტრანსფერთან კავშირზე და იმ მაღალჩინოსან სამართალდამცველებზე, რომლებიც აღნიშნული საქმის გამოძიებას უშლიდნენ ხელს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოლიციის პოლკოვნიკი კალაძის გატაცებაში აფრასიძის მონაწილეობას იმთავითვე უარყოფდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ომეხ აფრასიძე ამ საქმეზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა, რის გამოც, იგი თანამშრომლობაზე დაითანხმა. მაგრამ, სპეცოპერაციით მის მუშაობას წერტილი დაესვა.

რაც შეეხება მურავიოვის მიერ გუშინდელ დაკითხვაში ბათო საღინაძის მწამებლად დასახელებას, ამგვარი განცხადებები პოლკოვნიკს მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ფონზე აღარ უკვირს.

"მურავიოვი მხოლოდ ორი წუთით მყავს ნანახი და მასზე არანაირ ზეწოლაში, მით უმეტეს წამებაში, მონაწილეობა არ მიმიღია. მან მართლაც მისცა გამოძიებას ჩვენება, მაგრამ მაშინვე შემეპარა ეჭვი. რომ დამეჯერებინა, საფლავის გასათხრელად ჩვენც წავიდოდით სვანეთში, როგორც დღევანდელი პოლიციელები მოიქცნენ, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ. მე ოპერატიული მასალების შეგროვებაზე ვმუშაობდი, რომლის სისწორეც გამოძიებას უნდა დაემტკიცებინა. კანონის და საკუთარი მორალის წინაშე აბსოლუტურად მართალი ვარ, ამიტომ არაფრის და არავის მეშინია," - განაცხადა ჩვენთან საუბარში ბათო საღინაძემ.

მურავიოვის სასამართლო დაკითხვა დღესაც უნდა გაგრძელდეს. აფრასიძეების დაცვის მხარეს სხვა საკითხებთან ერთად სპეცოპერაციის დეტალები აინტერესებს. მართალია, მურავიოვმა გუშინვე განაცხადა, რომ არც მას და არც განსასჯელ აფრასიძეებს სპეცოპერაციის დროს იარაღი არ ჰქონიათ, მაგრამ დღეს მას ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მოუწევს პასუხის გაცემა. ადვოკატები ამ შემთხვევაშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან გოჩა და შმაგი აფრასიძეებს, რომლებსაც თავის დროზე რამდენიმე ბრალდება ჰქონდათ წარდგენილი, ამჟამად მხოლოდ სამართალდამცველებისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობაში ედებათ ბრალი. თუმცა, ადვოკატებს ნაკლებად სჯერათ სასამართლოს ობიექტურობის, სადაც უკვე ათობით შუამდგომლობა აქვთ დაყენებული, მაგრამ ჯერჯეობით არც ერთი არ დაკმაყოფილებულა.

"გუშინდელ პოცესზე კიდევ ერთი წარმოუდგენელი სიურპრიზი დაგვხვდა. სასამართლომ განსასჯელების და დაცვის მხარის დაუკითხავად აფრასიძეებს სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა, რომლის არანაირი აუცილებლობა არ იყო. ამის დასამტკიცებლად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, ვიდრე ჩვენი კოლეგა თავად არ მიხვდა, რომ დარბაზი უნდა დაეტოვებინა. აფრასიძეების საქმეში ბევრი განუკითხაობა ხდება, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ სიმართლის დასამტკიცებლად სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოში მოგვიწევს საქმის გადაგზავნა," - განაცხადეს ჩვენთან საუბარში ადვოკატებმა - მალხაზ ჯანგირაშვილმა და ირმა ჭკადუამ.

"საშიში ქართველების მაფია"

ავსტრიაში ჩატარებული სპეცოპერაციისას სამი ქართველი დააკავეს

ის, რომ უცხოეთში წასულ ქართველ არალეგალთა გარკვეული ნაწილი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, ცნობილი ფაქტია. ამ მხრივ, "განსაკუთრებით საშიში ქართველები" (ავსტრიაში აქტიურად მოქმედ ქართულ კრიმინალურ ჯგუფებს ასე მოიხსენიებდნენ ავსტრიელი სამართალდამცველები) სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს სერიოზულ საფიქრალს უჩენდნენ და უჩენენ.

ზუსტად ერთი თვის წინათ ავსტრიის პოლიციის ყურადღების ცენტრში სამი ქართველი არალეგალი მოხვდა, რომლებიც ქალაქ ბლუდენცის პოლიციის წინასწარი დაკავების საკნიდან გაიქცნენ. დაკავებულები კრიმინალურ საქმიანობაში არ ყოფილან შემჩნეულები, ისინი ავსტრიაში არალეგალურად ცხოვრობდნენ და მათი დაკავება ამის გამო მოხდა. გაქცეული ქართველი არალეგალები, რა თქმა უნდა, საბოლოოდ დაუსხლტდნენ ავსტრიელ სამართალდამცველებს და მიუხედავად იმისა, რომ მათზე საგანგებო ძებნა გამოცხადდა, მათ კვალს ვეღარსად მიაგნეს.

გუშინწინ კი ავსტრიის პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა და საქართველოს სამი მოქალაქე დააკავა. წინასწარი ინფორმაციით, ავსტრიის კრიმინალურმა პოლიციამ საქართველოს მოქალაქეები ყაჩაღობის ფაქტზე დააკავა. სპეცოპერაციის შედეგად ერთ-ერთი ეჭვმიტანილი ფეხისა და მხარის არეში დაიჭრა, მეორე - თავში. დაკავებულები ვენის საავადმყოფოში მოათავსეს.

ავსტრიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კრიმინალებთან ბრძოლის განყოფილებამ მომხდართან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა. ინფორმაციის თანახმად, ვენის მე-3 რაიონში 12.02 საათზე 100 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა BMW-ს მარკის ავტომანქანა. ავტომანქანაში იმყოფებოდა სამი მამაკაცი. პოლიციის თანამშრომლებმა მანქანის მძღოლს გაჩერება მოსთხოვეს, რასაც მძღოლი არ დაემორჩილა. ხანგრძლივი დევნის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა გადაკეტეს ქუჩები და მოახერხეს ავტომანქანის გაჩერება. თუმცა, მანქანაში მსხდომმა პირებმა გაქცევა და ერთ-ერთ პოლიციელზე თავდასხმა სცადეს. საპასუხოდ, პოლიციამ ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად ორი პირი დაიჭრა, ორივე მათგანი საავადმყოფოშია გადაყვანილი. რაც შეეხება მესამე პირს, ის პოლიციის განყოფილებაში მოათავსეს. დაჭრილებს აღმოაჩნდათ საბუთები, ხოლო მესამე პირს არანაირი საბუთი არ აღმოაჩნდა. გარდა ამისა, ავსტრიელმა სამართალდამცველებმა ავტომანქანის შემოწმებისას საბარგულში ნახეს ბინის გასატეხი ხელსაწყოები.

ავსტრიული მხარის ინფორმაციით, დაჭრილთა სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ისინი გადაყვანილები არიან ვენის ცენტრალურ საავადმყოფოსა და ლორენც ბოლერის საავადმყოფოში. დაჭრილებმა ავსტრიის ხელისუფლებისგან თავშესაფარი მოითხოვეს. მესამე პირის ვინაობა კი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ავსტრიაში საქართველოს საკონსულო პოლიციის აღნიშნულ სამსახურს დაუკავშირდა და მომხდარ ფაქტზე დეტალური ინფორმაცია მოითხოვა. პიროვნებათა პერსონალური მონაცემების გადმოცემაზე ავსტრიის მხარე თავს იკავებს, რადგან, ქვეყნის კანონმდებლობით, თავშესაფრის სტატუსის მაძიებელი პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელება აკრძალულია. ავსტრიაში საქართველოს საელჩო ავსტრიის პოლიციას დაკავებულთა იდენტიფიკაციის დაჩქარებაში დაეხმარება.

ავსტრიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა დაკავებულებთან შეხვედრა მოითხოვეს. ვენის პოლიციის ფედერალური განყოფილების განცხადებით, მათი თანამშრომლები დაკავებულებს დაკითხავენ და, მათი თანხმობის შემთხვევაში, მზად არიან, შეხვედრის ორგანიზება გააკეთონ.

ავსტრიის პოლიციის მონაცემებით, ავსტრიაში მოქმედი ყოველი მეოთხე დამნაშავე უცხოელია. ვენის საქალაქო პოლიციის ინფორმაციით, ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული კრიმინალი ჯიბის ქურდობაა, ხოლო ჯიბის ქურდებს შორის მეორე ადგილი საქართველოს მოქალაქეებს უკავიათ. ავსტრიაში აქტიურად მოქმედი ქართული კრიმინალური ჯგუფები ავსტრიელ სამართალდამცველებს სერიოზულ საფიქრალს უჩენენ.

"ისინი ყოველთვის თან ატარებენ დანებს. ქურთუკის ჯიბეებში მუდმივად აქვთ სამართებლები და ჟანდარმერიისთვის საშიშ დამნაშავეებს წარმოადგენენ. ისინი უკიდურესი ძალადობისთვისაც კი მზად არიან," - წერდა ერთ-ერთი პოპულარული ავსტრიული გაზეთი "ლტოლვილთა სტატუსს ამოფარებული ქართველი კრიმინალების" შესახებ.

დღეისთვის ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან ამოცანას იმპორტირებული კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს, რადგან, ავსტრიელ სამართალდამცველთა მონაცემებით, ქვეყანაში სამართალდარღვევათა რიცხვი, გასულ წლებთან შედარებით, 13 პროცენტით გაიზარდა.

24 საათი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი",** საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ქ.თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95-10-77, ფაქსი: 95-21-70, ელ.ფოსტა: jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს **ტენდერს დაზღვევის ოთხ ლოტად შესყიდვაზე** და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. **დაზღვევის ლოტები**:

2.1. **I ლოტი - სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" დაზღვევის პაკეტი**

დაზღვევის სახეობები:

- ქონების დაზღვევა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტის დაზღვევა;
- მანქანა-დანადგარების დაზღვევა
- მანქანა-დანადგარების დაზიანებით დაკარგული მოგების დაზღვევა;
- კომერციული პასუხისმგებლობის დაზღვევა;

დაზღვევის ობიექტის მისამართი: სასტუმრო კომპლექსი "შერატონ მეტეხი პალასი",
საქართველო, თბილისი, 0103, თელავის ქ. N20.
რომელიც მოიცავს შემდეგ შენობა-ნაგებობებს:
(1) სასტუმროს შენობა, გარე საცურაო აუზის ჩათვლით;
(2) კაფე-რესტორნის შენობა;
(3) სავაჭრო პასაჟი;
(4) ტექნიკური შენობა;
(5) ავტოსადგომი და ავტოფარეხი

2.2. **II ლოტი - ადმინისტრაციული შენობის დაზღვევა**

დაზღვევის სახეობა: ქონების დაზღვევა

დაზღვევის ობიექტის მისამართი: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო
მეტეხი"
ქ. თბილისი, 0102, დ. აღმაშენებლის გამზ. N67,

2.3. **III ლოტი - საწარმოს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი**

დაზღვევის ობიექტი: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი"-ს თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.4. **IV ლოტი - საწარმოს საავტომობილო პარკის დაზღვევა**

დაზღვევის სახე:
- სრული კასკო;
- ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა (MTPL).

დაზღვევის ობიექტი: 9 (ცხრა) ავტომანქანა

3. **მომსახურების გაწევის ადგილი:** ქ. თბილისი

4. **ვადა:** 2006 წლის 1 აპრილიდან 2007 წლის 31 მარტის ჩათვლით

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 21 მარტის 10:00 საათიდან 2006 წლის 23 მარტის 12:00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67; ტელეფონი: 95-10-77; კოორდინატორი ბატონი მურთაზ გულედანი.

6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
(1) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
(2) რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა საწესდებო კაპიტალის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
(3) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული;
(4) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
(5) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
(6) სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტები

6.1. იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:
(1) I ლოტისათვის მოთხოვნილი სადაზღვევო რისკების 100 (ასი) პროცენტიანი გადაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, **Reinsurance-Slip**;
(2) დადასტურებული **Reinsurance-Slip** I ლოტისათვის; არანაკლებ 75 პროცენტი მინიმუმ **A** რეიტინგის, ხოლო დარჩენილი არაუმეტეს 25 პროცენტი **BBB** მინიმუმ რეიტინგის მქონე სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ, სარეიტინგო სააგენტო ***Standard & Poor's*** მიხედვით 2006 წლის 1 მარტის მდგომარეობით.
(3) მოთხოვნილი სადაზღვევო სახეობების, ნოტარიულად დამოწმებული ლიცენზიის ასლი;
(4) ინფორმაცია 2004 და 2005 წლის განმავლობაში, მოთხოვნილ სადაზღვევო სახეობებში, მოზიდული პრემიისა და ანაზღაურებული ზარალის ოდენობის შესახებ;
(5) III ლოტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების პროვაიდერების და დამზღვევების ჩამონათვალი;
(6) 2004 წლის და, არსებობის შემთხვევაში, 2005 წლის აუდიტორული დასკვნა

6.2. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით;

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკი, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101666, ა/ა 50609031.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, **2006 წლის 3 მარტის 10:00 საათიდან 2006 წლის 10 მარტის 18:00 საათამდე.** მისამართზე ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემთა ნუსხაში მითითებული სახით, ფორმითა და ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ კოორდინატორს ბატონ მურთაზ გულედანს ტელეფონი 95-10-77, ფაქსი: 95-21-70, ელ.ფოსტა: jvmetechi@jvmetechi.com

საგადასახადო წნეხი მძიმდება

ვირველი გვერდიდან

"ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობისას, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, აღრიცხვიანობის მოწესრიგებასთან ერთად, კეთილსინდისიერი გადამხდელის დაცვაც იყო," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში საგადასახადო დეპარტამენტის იურიდიულ საკითხთა და საჩივრების სამმართველოს უფროსის მოადგილემ მამუკა ბარათაშვილმა. მისი თქმით, ის პირები, რომლებიც ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატით აწარმოებდნენ, აშკარად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ იმ გადამხდელებთან, რომლებიც არ აღრიცხავდნენ შემოსავალს, მოგებას და გადასახადს უმალავდნენ ბიუჯეტს.

კანონის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატები უნდა იყოს ქართულენოვანი, ფისკალური მეხსიერების მქონე, სახელმწიფო რეესტრში შეტანილი, ტექნიკურად გამართული, საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული და სათანადო წესით დალუქული. საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების მიმართ წაყენებულ ტექნიკურ მოთხოვნებს, მათი ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებს, სახელმწიფო რეესტრის წარმოების, საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის და საკონტროლო-სალარო აპარატების (მათ შორის, ავტომგასამართ სადგურებში მრიცხველი მექანიზმების) დალუქვის წესებს, ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოებისა და რეგისტრაციის წესებს, აგრეთვე, სალაროს ჩეკში შესატან აუცილებელ რეკვიზიტებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ბაზრობის მოვაჭრეთა აქცია პარლამენტთან.

ფოტო ირაკლი ბერიძე

სახელმწიფო რეესტრში შეტანილი საკონტროლო-სალარო აპარატების რეალიზაციას რვა ფირმა ახორციელებს - შპს "კომპიუტერი", "ლბ" ინვესტჯგუფი, შპს "პლაზა", შპს "ტექნოიმპექსი", შპს "აკაექსპრესი", სს "თბილხელსაწყო", შპს "ა.გ.ს." სერვისი და შპს "ალიონ-1". სალარო აპარატების ფასი 150 ლარიდან 300 ლარამდე მერყეობს. როგორც "24 საათს" საგადასახადო დეპარტამენტში აცნობეს, განაცხადი აპარატების შემოტანაზე ამ კომპანიებმა გააკეთეს და მათი პროდუქციის სტანდარტი შესაბამისმა სამსახურმა შეამოწმა.

საგადასახადო დეპარტამენტის იურიდიულ საკითხთა და საჩივრების სამმართველოს უფროსის მამუკა ბარათაშვილის ინფორმაციით, ფირმების წარმომადგენლებსა და მეწარმეებს შორის კორუფციული გარიგების განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან სალარო აპარატში კოდი საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელს შეჰყავს და მის დალუქვასაც ის ახორციელებს.

კანონის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან ის ფიზიკური პირები გათავისუფლდნენ, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას ახდენენ. ასევე, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება არ ევალებათ ეკონომიკური საქმიანობის გამხორციელებელ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ამ კოდექსით არ აქვთ საგადასახადო ორგანოში მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის ვალდებულება;

სალარო აპარატების გამოყენებისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ მომხმარებლების ტერიტორიაზე (სახლებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში) - საქმიანობის ამ ნაწილში, ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის გაცემის პირობით; ასევე გათავისუფლებულნი არიან მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარების ფორმით წვრილ საცალო ვაჭრობას, გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ქუჩაში დადგმული სტენდებიდან/მაგიდებიდან.

აღნიშნული შეღავათების მიუხედავად, მეწარმეებს მაინც მეტი თანხის გადახდა მოუწევთ, ამიტომ, მოვაჭრეები ფიქსირებული გადასახადის აღდგენას ითხოვენ. გადაინაცვლებს თუ არა მცირე ბიზნესი ჩრდილში - ამის შესახებ საგადასახადო დეპარტამენტის პასუხი ცალსახაა, მეწარმეები ბაზარზე დაკავებულ ადგილს არ დაკარგავენ და არსებულ რეალობას შეეგუებიან. რაც შეეხება ფისკალურ ეფექტს, ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს ზუსტი ეკონომიკური გათვლები არ აქვს. არსებობს მხოლოდ ერთი სტატისტიკა: 2006 წლის ორ თვეში 8 500 სალარო აპარატი დამონტაჟდა, 2005 წლის ბოლო ორი თვის მონაცემებით კი - მხოლოდ 700.

ექსპერტების შეფასებით, მეწარმეებს დათმობაზე წასვლა საგადასახადო სამსახურის მკაცრმა სანქციებმა აიძულა. კანონის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა 500 ლარით ჯარიმდება, განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება - 5 000 ლარით, ხოლო ყოველი შემდგომი გამეორება - 10 000 ლარით.

რუსულ ბანკებს მოლდოვაც უჩივის

"გარანტ-ბანკის" შენობა სოხუმში.

ვირველი გვერდიდან

თუმცა ამავე ბანკის მთავარი ეკონომისტი ნატალია ორლოვა აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსეთის კომერციული ბანკების საქმიანობამ საქართველოს დიდ მეზობელს, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას. ეს უკანასკნელი ამ საკითხის წამოწევას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებისას ელის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად, მოლდოვაც აპირებს, უკონტროლო ტერიტორიებზე რუსული კომერციული ბანკების უკანონო საქმიანობას საერთაშორისო რეზონანსი მისცეს. რუსულმა გამოცემამ "ნოვიე იზვესტიამ" (Новые Известия) მოლდოვას პრეზიდენტის ვლადიმირ ვორონინის განცხადება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, დნესტრისპირეთში ყოველწლიურად დაახლოებით ორი მილიარდი დოლარის ოდენობით "შავი ფული" თეთრდება.

24 საათი

მოკლედ

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" 2005 წლის საქმიანობას შეაჯამებს

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი დღეს კომპანიის 2005 წლის საქმიანობას შეაჯამებს. სასტუმრო "თბილისი მარიოტში" დაგეგმილია სხდომა, რომელსაც ჟურნალისტებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. როგორც კომპანიაში განაცხადეს, დინ უაითი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს კომპანიის მიერ 2005 წლის განმავლობაში გაწეულ საქმიანობას გააცნობს და ანგარიშს ჩააბარებს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელმა 2005 წელს 70 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2003 წელთან შედარებით 130 პროცენტია, ხოლო 2004 წლის მაჩვენებლებთან შედარებით - 54 პროცენტი. ბიუჯეტის სასარგებლოდ 2005 წელს კომპანიას 25 მილიონი ლარი აქვს გადახდილი. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 11.2 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო 2003 წელს 5 მილიონი ლარი იყო. 2005 წელს "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" 71 ათასი აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანება განახორციელა. **ინტერპრესნიუსი**

საფინანსო სააგენტომ ოქროს ნაწარმი და ჯართი გაყიდა

ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა საფინანსო სააგენტომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე საჯარო აუქციონი ჩაატარა. აუქციონზე გამოტანილი იყო სხვადასხვა სინჯის ოქროს ნაწარმი და ჯართი. როგორც საფინანსო სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა კობა ლაცაბიძემ განაცხადა, მთლიანი ქონება დაყოფილი იყო ექვს ლოტად, აუქციონი კი თითოეული ლოტის მიხედვით გაიმართა. სულ მონაწილეობდა შვიდი ფიზიკური პირი და საჯარო აუქციონის პრინციპებიდან გამომდინარე, გაიმარჯვეს მათ, ვინც თითოეული ლოტის მიხედვით უფრო მეტი თანხა დაასახელეს. ასეთი კი ექვსი პირი აღმოჩნდა. მთლიანი ღირებულების საწყისი ფასი შეადგენდა 34 250 ლარს, აუქციონის შედეგად კი მთლიანი ქონება 35 600 ლარად გაიყიდა. გამარჯვებულთა ვინაობა არ ხმაურდება. **მედიანიუსი**

ჭიათურ-მანგანუმის კრედიტორების საკითხს შეისწავლიან

ჭიათურ-მანგანუმის კრედიტორების საკითხს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი შეისწავლის. აღნიშნული დავალება კომიტეტის თავმჯდომარეს ნიკო ლეკიშვილს პარლამენტის სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ მისცა. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, შემაშფოთებელია ის ვითარება, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ჭიათურაში შეიქმნა. კერძოდ, ადგილი აქვს ჭიათურ-მანგანუმში წარმოებული სამუშაოს შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საპროტესტო აქციებს და შიმშილობას. **"შემაშფოთებელი იყო გუშინ ტელევიზიით გასული სიუჟეტი ჭიათურაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ეს ადამიანები წლების განმავლობაში ვაგონებში ცხოვრობენ. მათი ბინები საცხოვრებლად უვარგისია. უნდა ვიჩვენოთ ამ ადამიანებს, რომ მათ პრობლემებზე გული შეგვტკივა,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. მან დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს დაავალა, შექმნილ ვითარებაში უახლოეს ხანებში გაერკვეს და პარლამენტს დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემის თაობაზე ინფორმაცია წარმოუდგინოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სხვადასხვა სახის საწვავისა და თსუ უძრავი ქონების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2006 წლის 22 თებერვლის გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები განცხადებაში: 1. სხვადასხვა სახის საწვავის შესყიდვაზე სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და დოკუმენტაციის გატანის ვადა განისაზღვროს 14 მარტის 17 საათამდე ნაცვლად 6 მარტისა.

2. თსუ უძრავი ქონების დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე: სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და დოკუმენტაციის გატანის ვადა განისაზღვროს 14 მარტის 17 საათამდე ნაცვლად 6 მარტისა. ხოლო სადაზღვევო ობიექტების ჩამონათვალი მე-8 ობიექტი უნდა იკითხებოდეს - მაღლივი კორპუსი მატემატიკის ინსტიტუტის ჩათვლით.

სატენდერო კომისია.

განცხადება კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს სტუდენტური სასადილოს მოწყობის მიზნით 260 კვ მ ფართის იჯარით გაცემაზე.

ვაჟა-ფშაველას გამზირი №33.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ 39 67 51. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 7 მარტის სამუშაო დღის ბოლომდე.

ვაჟა-ფშაველას N 33. ოთახი 204.

მეფრინველეობის ფერმები დაღუპვის პირას არიან

მეწარმეები დახმარებას პრეზიდენტისგან ითხოვენ

თინა შავაძე

საქართველოში ქათმის და კვერცხის რეალიზაცია, ფაქტობრივად, შეწყდა. ქვეყანაში მეფრინველეობის დარგის კრიზისი გარდაუვალი აღმოჩნდა. ამის გამო მეწარმეები დარგის გადარჩენის გზებს ეძებენ. "24 საათთან" საუბარში კომპანია "პატარძეულის" გენერალური დირექტორი და მეწილე ოთარ მუჩიაშვილი ამბობს: "ჩვენი ინიციატივით ფრინველის ასაცრელი ვაქცინის საქართველოში შემოტანას იმდენი სავალდებულო პროცედურის გავლა სჭირდება, რომ შესაძლოა, 5-6 თვე გაგრძელდეს. მაშინ, როცა მთავრობას ამ პრეპარატის საქართველოში შემოტანა დაჩქარებული წესით შეუძლია. გარდა ამისა, ბიზნესფედერაციაში შეხვედრისას მეწარმეებმა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის საჯაროდ გამოსვლა მოვითხოვეთ. მან უნდა განაცხადოს, რომ მეფრინველეობის ფაბრიკებში დამზადებული ქათამი და კვერცხი საიმედოა და ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის."

გუშინ "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ ბიზნესმენთა ფედერაციის ხელმძღვანელობა მეფრინველეობის დარგის წარმომადგენელთა მოთხოვნების გასაცნობად საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, "24 საათმა" ბიზნესფედერაციის ხელმძღვანელთან დაკავშირება ვერ შეძლო. გაზეთი დღეს შეეცდება, აღნიშნული შეხვედრის დეტალები გაარკვიოს.

საქართველოში ფრინველის გრიპის ვირუსის პირველი პრეცედენტი გაჩნდა. დაავადების გამოვლენიდან სულ რამდენიმე დღეში სავაჭრო ქსელში ქათმის ხორცისა და კვერცხის რეალიზაცია 80 პროცენტით შემცირდა. ამის გამო მარკეტების მეპატრონეები მეწარმეებს ჩაბარებული პროდუქციის უკან გატანას სთხოვენ. ფაქტობრივად, მეფრინველეობის დარგის მდგომარეობა უკვე კრიტიკულია, რადგან ქვეყანაში ქათმისა და კვერცხის მწარმოებელ ადგილობრივ კომპანიებს გადარჩენის მხოლოდ მცირე შანსები დარჩათ. გუშინ, მთავრობის გადაწყვეტილებით, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის მეფრინველეობის ფერმა ფრინველის განადგურების მოთხოვნით დაიხურა. კვერცხის მწარმოებელი კომპანია "პატარძეულის" (ქვეყნის ბაზრის მოთხოვნის 20 პროცენტს აკმაყოფილებს) ყოველდღიურმა სუფთა ზარალმა 10 ათას ლარს მიაღწია.

ამ ეტაპზე ქათმისა და კვერცხის მწარმოებელი საწარმოები, განსაკუთრებული რეჟიმით, ე.წ. დახურული სივრცის პრინციპით მუშაობს. ქართულ ბაზარზე ფერმაში დამზადებული ქათმისა და კვერცხის გაყიდვა შეზღუდული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა საფრთხის გამო, ყველა ფერმის დახურვას და ფრინველის განადგურებას მოითხოვს, მაშინ მეწარმეები მიყენებული ზარალის მთავრობისგან ნაწილობრივ ანაზღაურებას მოითხოვენ. სულ ახლახან სწორედ ასე მოიქცა საფრანგეთის მთავრობა.

დღეს საკანონმდებლო ორგანო, ხელვაჩაურის რაიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას დაამტკიცებს. პრეზიდენტმა ხელვაჩაურში საგანგებო მდგომარეობა მას შემდეგ გამოაცხადა, რაც რაიონში ქათმის გრიპის ვირუსი დაფიქსირდა. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა დადგენილი წესით უნდა უზრუნველყონ მოსახლეობისთვის და საწარმოებისთვის ფრინველისა და ფრინველის პროდუქტების ჩამორთმევა და განადგურება. ასევე, განსაკუთრებული რეჟიმი დაწესდება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ფრინველისა და მეფრინველეობის პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას ეწევიან. გასატარებელ ღონისძიებებს შორის მეწარმეებისთვის ზარალის ანაზღაურების შესახებ არაფერია ნათქვამი.

საქართველოში ქათმის ხორცისა და კვერცხის მწარმოებელი კომპანიები ბაზრის მოთხოვნას სრულად ვერ აკმაყოფილებს. ამ სექტორში ქართული კომპანიები, ძირითადად, ხუთი წლის წინ ამოქმედდა. არასახარბიელო ბიზნესგარემოს მიუხედავად, ადგილობრივმა კომპანიებმა შეძლეს ბაზარზე დამკვიდრება და კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქტის გამოშვება. დღეს მომხმარებელთა უმეტესობა არჩევანს "მუხრანის", "კოდის", პატარძეულის" მიერ წარმოებულ ქათამსა და კვერცხზე აკეთებს. მიმდინარე წლის დასაწყისში ქათმის გრიპის გამო ატეხილი პანიკიდან ორი თვე გავიდა. თუმცა დღემდე გაურკვეველია, განადგურების პირას მყოფი დარგის გადარჩენას მთავრობა რა გზებით აპირებს და შეძლებს თუ არა ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაცვას.

"ჩემები" - დაზღვევა ჩვენი ოჯახებისთვის

გუშინ, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აი"-მ, რომელიც საქართველოს ბანკის საფინანსო ჯგუფში შედის, ახალი სადაზღვევო პროგრამის "ჩემების" პრეზენტაცია მოაწყო. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო პროგრამა "ჩემები" საქართველოს ინდივიდუალური დაზღვევის ბაზარზე მასშტაბური გასვლის პირველი პრეცედენტია. ახალი ბრენდის - "ჩემების" მისია საზოგადოების ფართო წრეებში საზოგადოებრივი შემეცნების და სადაზღვევო მომსახურების მოხმარების განვითარების ხელშეწყობაა.

"სადაზღვევო პროგრამა "ჩემები" ჩვენი კიდევ ერთი აქტიური ძალისხმევაა სადაზღვევო-სამომხმარებლო ბაზრის და ჩვენი მოქალაქეების სადაზღვევო კულტურის განვითარების საქმეში. ახალი პროგრამით გვსურს დავამსხვრიოთ დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომ დაზღვევა - ფუფუნებაა. "ჩემების" ფარგლებში არსებული პროდუქტები საშუალო შემოსავლის ოჯახებისთვისაც ხელმისაწვდომია," - განაცხადა სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აი"-ს გენერალურმა დირექტორმა თორნიკე გოგიჩაიშვილმა.

პროგრამა "ჩემები" სადაზღვევო დაფარვების ფართო არჩევანს გულისხმობს. კერძოდ, მასში სადაზღვევო მომსახურებების შემდეგი პაკეტები შედის: "ჩემები-ავტო" (4 პაკეტი), "ჩემები-ჯანმრთელობა" (3 პაკეტი), "ჩემები-სახლი" (დამატებითი დაფარვების არჩევნით), "ჩემები-სამოგზაურო" (დამატებითი დაფარვების არჩევანით) და "ჩემები-სიცოცხლე" (დამატებითი დაფარვების არჩევანით).

"ბი-სი-აი"-ს წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნული მომსახურებები თანამედროვე ოჯახის ყველა შესაძლო მოთხოვნის გათვალისწინებითაა შემუშავებული, ხოლო მომსახურების პაკეტების და ფასების ფართო არჩევანი საშუალებას იძლევა მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს პრაქტიკულად ნებისმიერი ოჯახისთვის.

"როგორც წესი, ყოველდღიური ცხოვრების გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაწყვეტით გართულებული, ჩვენ იშვიათად თუ ვუფიქრდებით, რომ გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად შეიძლება დავკარგოთ ყველაფერი, რასაც წლების განმავლობაში ვქმნიდით და ვუფრთხილდებოდით - ჩვენი უძრავი ქონება, ავტომობილი, ჯანმრთელობა და სამწუხაროდ სიცოცხლეც კი. ნებისმიერმა ამგვარმა მოვლენამ შეიძლება ნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ჩვენი ოჯახების მორალურ და ფინანსურ მდგომარეობას. პრაქტიკულად შეუძლებელია წინასწარ გაითვალისწინო ყველა შესაძლო მოვლენა და მზად იყო ყოველგვარი მოულოდნელობისთვის. როგორ და რითი შეიძლება ავირიდოთ შესაძლო პრობლემები და დავიცავთ ჩვენი ოჯახები? სადაზღვევო პროგრამა "ჩემები" საუკეთესო შესაძლებლობაა ვუზრუნველყოთ თქვენი და თქვენი ოჯახის ფინანსური სტაბილურობა ხშირი და ყველაზე მტკივნეული სიურპრიზებისგან," - აცხადებდნენ გუშინ "ბი-სი-აი"-ში.

"საქართველოს ბანკის" ფილიალებში განლაგებული "ჩემების"-ს სერვისცენტრები მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადგილმდებარეობით მისთვის ყველაზე ხელსაყრელ ცენტრს მიაკითხოს, მიიღოს კონსულტაცია ან შეიძინოს სადაზღვევო მომსახურება. სპეციალურად ამ პროგრამისთვის 24-საათიანი სატელეფონო საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს - 444 999.

"საქართველოს ბანკის" საფინანსო ჯგუფი, "ბი-სი-აი"-სთან ერთად მორიგ სიახლეს ვთავაზობთ. "ჩემები" ნოვატორული პროექტია, რომელიც ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის ეფექტურად არის ინტეგრირებული სადაზღვევო და საბანკო მომსახურებები," - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილემ რამაზ კუკულაძემ.

მოწვევა განაცხადების წარმოსადგენად

თარიღი:	2006 წ. 20 იანვარი
კონტრაქტის საიდენტიფიკაციო N:	NCB/JRP-Fur
მსოფლიო ბანკის კრედიტის N:	3263 GEGE
მსოფლიო ბანკის კრედიტის სახელი:	სასამართლო რეფორმების პროექტი

1. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან სასამართლო რეფორმების მხარდაჭერის პროექტის ხარჯების დასაფარავად და აპირებს ამ სესხის თანხის ნაწილი მოახმაროს კონტრაქტით გათვლისწინებულ საქართველოს უმამაღლესი იუსტიციის საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სასამართლო დარბაზების ავეჯის დამზადების, მოწოდების და ადგილზე აწყობის, კონტრაქტით გათვლისწინებულ ხარჯებს (კონტრაქტის N: NCB/JRP-Fur) სასამართლოები მდებარეობს ქ. თბილისში, ქ, ბათუმში, და ქ. მცხეთაში,

2. საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი იწვევს დალუქულ საკონკურსო წინადადებებს საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სასამართლო დარბაზების ავეჯის დამზადების, მოწოდების და ადგილზე აწყობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტების (და დამატებითი ეგზემპლარების) შეძენა შეიძლება საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლის ოფისში, მისამართი: ი. აბაშიძის ქ. N 70 მე-V სართული, ოთახი 501 , 0162, თბილისი, საქართველო (ტელ: 95-08-65, 95-52-68, ფაქსი: 24-13-64).

4. თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 70 ლარის გადახდის შემდეგ. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია იმავე მისამართზე.

5. ყველა განაცხადს თან უნდა ახლდეს 7,000 ლარის საბანკო გარანტია, და უნდა მიწოდებული იქნას საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე, მისამართი: ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 32, თბილისი, საქართველო (ტელ/ფაქსი: 920936, 935696), არა უგვიანეს 2006 წ. 28 მარტის 16:00 საათისა. დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება და გაუხსნელი დაუბრუნდება განცხადებელს.

6. განაცხადები გაიხსნება იმ კონკურსანტების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფისში მისამართი: ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 32, თბილისი, საქართველო (ტელ/ფაქსი: 920936, 935696), 2006 წ. 28 მარტს 16:00 საათზე.

ალიოშა დევდარიანის არქივი ჩუკოტკაზე ყოფილა!

ჟოზე: ჩემი ძმა, ერთი წუთით რა, ორი სიტყვა უნდა გითხრა.

ფრანკი: რა დროს ლაპარაკია, უყურე და ისწავლე, ბიჭო.

ჟოზე: კაი, ნუ ხარ ეგეთი ამაყი და აგრესიული, დრო ბევრია. ისე, ეს მსაჯი პატიოსანი მეგონა და თურმე სოროსის კაცი ყოფილა.

ფრანკი: რა სოროსი, რის მასონები, წავიდა კარვების დრო. რა, არ იყო ეგ შენი ბასკი გასაგდები? ჩემ ბიჭს ორჯერ კინალამ კიდურები დაულეწა.

ჟოზე: აი, შენ თვითონ დაიწყე ლაპარაკი იმაზე, რისი თქმაც მინდოდა - რა ღირს?

ფრანკი: რა?

ჟოზე: რა კი არა, ვინ.

ფრანკი: ვინ?

ჟოზე: ეგ ბავშვი.

ფრანკი: ლევანა, ტო?

ჟოზე: მგონი, ლეო ქვია.

ფრანკი: ლეო შემოკლებით.

ჟოზე: კარგი, რა ღირს ლევანა?

ფრანკი: რონალდი არ გინდა პრიკუშში?

ჟოზე: ეხლა არ დამინყო - არ იყიდება და რაღაც სისულელეები. ხო იცი, მისტერ რომანი ხელგაშლილი კაცია.

ფრანკი: მაგან ხელები რესტორანში და ჩუკოტკაზე შალოს.

ჟოზე: რას ბედავ, ტუტუცო! როგორ ლაპარაკობ მესიაზე?!

ფრანკი: ჰოდა, მესია შენ გყავდეს, მე მესით დავკმაყოფილდები.

ჟოზე: "სტემფორდზე" რომ არ ვიდგეთ, შეგაფურთხებდი.

ფრანკი: ფურთხებას იქით გასწავლი, შე ფიოლერო.

ჟოზე: ფიოლერი რა შუაშია?

ფრანკი: ააა, შენ ხო სამი წლის წინ დაიწყე ფეხბურთის ყურება. ისე, მინდორი საკაიფოდ მოგირწყავთ.

ჟოზე: აყევი ხო ჭორებს?!

ფრანკი: რომელ ჭორებს, თვალები გაახილე, შე მათემატიკის მასწავლებელო.

ჟოზე: ყველაფერთან ერთად ინტრიგანიც ყოფილხარ. აი, ამას კი აღარ გაპატიებ, ახლავე ზევით ავალ.

ფრანკი: ადი ჰო, ადი. ისიც გაარკვიე, სადაა ალიოშა დევდარიანის არქივი.

მთვრალი ლონდონელი ჯიგარი: ავოიე! რა გააბით, ბიჭო, მაყურებინეთ წესიერად, თორე გადმოვხტები და თავებს ერთმანეთზე გარახუნებინებთ.

ფრანკი: "ჩელსის" გულშემატკივრებს ნამეტნავად ყვარებიხარ.

ჟოზე: ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

ფრანკი: მოდი, მართლა დავიშალოთ, არ გადმოხტეს ეს ველური.

ჟოზე: ჰაა, შეგეშინდა? გაფითრდი.

ფრანკი: ზანგები არ ფითრდებიან. ერთი მომანწევინე რა.

ჟოზე: ეწევი?

ფრანკი: რას?

ჟოზე: ჭაპანს.

ფრანკი: სამხრეთულ იუმორს ვერ ვიგებ. და საერთოდ, რა დროს ლაპარაკია ამ შუა თამაშში. მიდი, მიხედე შენ გუნდს, თორემ მესამესაც მოგართმევთ და მერე ბარსელონაში გაუდის არქიტექტურის დასათვალიერებლადღა ჩამოხვალთ. რაღაც ინტრიგა ხომ უნდა შემოვინახოთ?

ჟოზე: მე არ ვიყო ჟოზე მოურინიო, თუ გატენილ "ნოუ კამპზე" ბურთი არ დაგაფხრინო.

ფრანკი: (კისკისებს)

ჟოზე: უჰ, როდის გავა ორი კვირა...

ფრანკი: გინდა გავმაზოთ? თუ შენ გახვედი მეოთხედფინალში, მესის უკაპიკოდ დაგითმობ. თუ მე - "ჩელსიდან" სამ კაცს ულაპარაკოდ წავიყვან.

ჟოზე: სინდისი საერთოდ არ გაქვს, რომ გაწითლდე მაინც?

ფრანკი: ზანგები არ წითლდებიან, რასისტო! მაკელელე ოდესმე გაწითლებულა?

ჟოზე: დიახაც, ხელფასის დღეებში იფაკლება (მობილური ტელეფონი ურეკავს). გისმენთ, ამხანაგო აბრამოვიჩ.

რომანი: გაარკვიე რამე?

ჟოზე: ესაო, ისაო, მარა არაო.

რომანი: ბლიად. ნახევარ ჩუკოტკას ვიძლევი მესიში!

ჟოზე: პირდაპირ ასე გადავცე?

რომანი: ეგ ბიჭი ჩემთვინ მინდა! მორჩა და გათავდა!

ფრანკი: რა იყო, ცუდად ხომ არ ხარ?

ჟოზე: ორი ვარიანტია - ან ეგ მაზი უნდა მოგიგო, ანდა თავი მოვიკლა.

ფრანკი: (ახველებს)

ჟოზე: შენი არ ვიცი და პირადად მე ბარსელონაში საომრად ჩამოვალ. სხვა გზა აღარ მაქვს, მეგობარო.

ფრანკი: გელოდები და მეცოდები.

მომავალ სამშაბათამდე "ნოუ კამპზე"

ცხენოსნობა

ხირხალი ადვილად დასაძლევი არაა!

ნოდარ ებრალიძე

"ჟოკეიკლუბის" დაბრკოლებათა გადალახვის ღია პირველობაზე ჩემპიონის სახელის მოპოვება რვა მხედარს შორის დამატებითი ხტომებით გადაწყდა. დარჩენილი 6 ბარიერიდან სამი 130 სანტიმეტრამდე ასწიეს (ძირითადი მარშრუტი 120 სმ. იყო). უფრო ხშირად ასეთი გაზრდა მარტივი დაბრკოლების - ე.წ. "ფინური მესერის" ხარჯზე ხდება, რომელსაც ცხენოსნური ჟარგონით "ჩუხონეცს" უწოდებენ. ჩვენში ეს ნასესხები ტერმინია: რუსეთის იმპერიაში საცხენოსნო სპორტის კლასიკური სახეობები, ურთულესი დოღიც - სტიპლჩეიზი მე-19, მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ძირითადად პეტერბურგის მეზობლად, სამეფო აგარაკის ცარსკოე სელოს ცხენთსარბიელზე ინახებოდა, იმ დროს კი ფინეთი რუსეთის სახელმწიფოში შედიოდა და მდაბიო ფინელებიც, როგორც კარის მეზობლები და საერთოდ ამ რეგიონის მკვიდრნი იმპერიის დედაქალაქში შოულობდნენ ლუკმაპურს - მეურზოვეები, ღამის დარაჯები, მეეტლეები მეტწილად ისინი იყვნენ და მათ მქირდავი მეტსახელებით მოიხსენიებდნენ.

"ჩუხონეციც" ასეთი სიტყვაა; ხოლო ცხენოსნობაში, კერძოდ კონკურში, აღნიშნავს ცალფა, ორ ბოძს შორის გადებული ხის ძელებით აღმართულ დაბრკოლებას (რომელიც თავისი სიმარტივით გამოირჩევა უფრო რთულად შედგენილი ორძელებისა და სხვა კომბინირებული ბარიერებისგან). ამ ტიპის ღობები გავრცელებული იყო ტყიან ქვეყანაში, ფინეთში და ამიტომაც უწოდეს მას ევროპაში "ფინური მესერი". საკუთრივ რუსეთში კი - შინაურულად მათივე თიკუნი (მეტსახელი, ეტიმოლოგიას ნუ გამოვეკიდებით). იმასღა დავძენთ, რომ ამგვარი ღობე საქართველოს მთისთვისაც ჩვეულებრივი იყო (ყანების, დაყორუღებული საძოვარ-სათიბების, ხატის ტყეების დასაცავად) და მისი ერთ-ერთი შესატყვისი ხირხალი შეიძლება სპორტულ ტერმინოლოგიაში გამოვიყენოთ კიდეც...

აი, ეს 130-სანტიმეტრიანი ხირხალი იქცა ჩვენს ასპარეზობაზე ერთერთ სასინჯ დაბრკოლებად. ძირითად მარშრუტზე სამ ლიდერს ოთხ-ოთხი საჯარიმო ქულა ჰქონდა. შალვა გაჩერჩილაძემ ლამის სადოღე ტემპი შესთავაზა მეტოქეებს დამატებით ჰიტში და 28 წამში უჯარიმოდ გადალახა ექვსივე ბარიერი. ცხენოსანი ესკადრონის მხედარმა გიორგი სამხარაძემ (ულაყი "პეპელა") მანძილის თამამი შემოკლება დაუპირისპირა ჭაბუკ მეტოქეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო პირველ ჰიტში მეექვსე დაბრკოლების ჩამოგდებისას დაშვებული ტაქტიკურ-ტექნიკური შეცდომის ამჯერად პირდაპირ ქრესტომათიული თვალსაჩინოებით გამოსწორება... მაგრამ ერთი წამით მაინც ჩამორჩა. ვანო ნორაკიძემ ("ჟოკეიკლუბი", ულაყი "ფლოქვი") მეორე დაბრკოლება დააზიანა და მესამე ადგილი დაიკავა.

შალვა გაჩერჩილაძემ კარგად დაიწყო წლევანდელი საცხენოსნო სეზონი. "ჟოკეიკლუბის" ჩემპიონობა მან რვა წლის ფაშატით - "სადაფით" მოიპოვა. "სადაფი" ყულარის ცხენსაშენის სახელოვანი აჯილღას "პეტროპოლისის" შვილია (დედა - "სახალისო" შალვას "პეტროპოლისის" სხვა მემკვიდრეც, "სადაფის" კბილა ულაყი "ასპარეზიც" აბარია, რომელსაც უკავშირდება ჭაბუკი სპორტსმენის შარშანდელი წარმატებები. და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ახალგაზრდა ცხენებიდანაც მძლავრი ნახტომის მქონე "გედს" ავარჯიშებს, ადვილი წარმოსადგენია მწვრთნელ გელა ტატანაშვილთან ერთად მისი მომავალი მხედრული გარჯის დიაპაზონი.

სწორედ "გედით" მოინდომა იმავე დღეს შალვამ წარმატების გამეორება, მაგრამ რაც "სადაფის" შემთხვევაში სწორი აღმოჩნდა, მძიმე "გედისთვის" შეუფერებელი გამოდგა. მათ სამი ბარიერი დააზიანეს. გამოცდილმა როინ მარგიანმა ("ხედი") ადვილად მოიგო ეს ასპარეზობა. მესამე ადგილი კი გიორგი აფციაურმა ("ბაქსი") მოიპოვა.

მოყვარულ მხედართა ასპარეზობა ჩვენს ცხენოსნობაში ამ ეტაპზე პირობითი კატეგორიაა. აქ მონაწილეობენ როგორც სამოყვარულო სტატუსს მიკუთვნებული ცხენოსნები, ისე კონკურის დებიუტანტი ბედაურების მხედრები, რომელთა შორის ნამდვილად პერსპექტიული სპორტსმენებიც არიან ხოლმე. ამ ჯგუფში უპრობლემოდ, უჯარიმოდ გაიმარჯვა ნორაკიძემ. ჩვენი აზრით, მისი და ძლიერი, ზორბა ულაყის "ეროსის" ცხენოსნური ტანდემი საიმედო უნდა იყოს.

შპს "ჟოკეიკლუბი" 1996 წელს ჩამოყალიბდა დელისის იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის ბაზაზე. გადაუჭრებლად შეიძლება ითქვას, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა მძიმე წლებში საქართველოში მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტის (როგორც კლასიკურის, ისე ეროვნულის) არა მარტო შენარჩუნების, არამედ გამოცოცხლების, მომავალი გზების გაკვალვის, ახალგაზრდა მხედრების აღზრდის საქმეში. ამის დავიწყება არ შეიძლება! მაგრამ დღეს ამ კლუბის სახელი უფრო სხვა კონტექსტში ხმიადება. ეს გახლავთ დელისის იპოდრომის გაუქმების, გადატანის (?), მისი აწინდელი მიდამოების დიდ, კეთილმოწყობილ საცხოვრებელგასარაობ (?!) რეგიონად გადაქცევის გახმაურებული ამბავი. ვიცით, რომ დღეს არც ცხენსაშენის შენახვა, ბედაურებისა და მხედრების გამოზრდაა ადვილი, ყველაფერს სახსარი სჭირდება, მაგრამ ერთობ მძიმე საპირწონე, უდიდესი ტვირთი ძევს სასწორის მეორე პინაზე! საქმე ეხება საერთოდ საქართველოში საცხენოსნო სპორტის ჩაკვდომას. თბილისის, როგორც ისტორიული ქალაქის, ერთი ძირითადი მახასიათებლის წაშლას, სამომავლო პერსპექტივის გაქარწყლებას. დელისის იპოდრომს ვერ შეცვლის თბილისის ზღვასა თუ ლისის ტბაზე აშენებული ელიტური საჯინიბოები. მათ თავისი დანიშნულება ექნებათ და ღმერთმა კეთილად მოახმაროს ცხენების პატრონებსაც და მომავალ კლიენტებსაც, მაგრამ, ვიმეორებ, აშკარად უთანასწორო, არადეკატურ ფასეულობებთან გვაქვს საქმე. განუსჯელად და რაღაც კულუარული სვლებით ამ პრობლემის გადაწყვეტა კი, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

ფეხბურთი

ვიზიტი

2006 წლის 22-23 თებერვალს სფფ-ს ეწვია უეფას საკლუბო ლიცენზირების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, განვითარების ოფიცერი ბატონი საიმონ პატრიკი. ხანმოკლე ვიზიტის მიუხედავად, მან დეტალურად შეამოწმა სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემის მუშაობა განვლილი სალიცენზიო სეზონების განმავლობაში: თუ რამდენად სამართლიანად იქნა მიღებული გადაწყვეტილებები, როგორი იყო კომუნიკაცია კლუბებთან, თანამშრომლებთან და მასმედიასთან, როგორია ფეხბურთის სტატუსი საქართველოში, როგორი მხარდაჭერა აქვთ კლუბებს და ფედერაციას ქვეყნის ხელისუფლებისგან, როგორი ფინანსური და სამართლებრივი სიტუაციაა საქართველოს საფეხბურთო კლუბებში და როგორ აისახება ეს სპორტულ შედეგებზე.

საიმონ პატრიკი შეხვდა სფფ-ს პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცსა და გენერალურ მდივანს უჩა უგულავას. მათთან საუბარში კიდევ ერთხელ აღინიშნა მუშაობის ძირითადი მიმართულებები, პერსპექტივები და სისტემის ეროვნულ დონეზე დანერგვის პროცესში მოსალოდნელი რისკები.

ვიზიტის მეორე დღეს სფფ-ს საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა უეფას საკლუბო ლიცენზირების ახალი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ როგორც სისტემის თანამშრომლები, ისე საფეხბურთო კლუბებში ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი პირები. პრეზენტაციის მსვლელობისას განიხილეს საქართველოს საფეხბურთო კლუბების წინაშე რეალურად მდგარი საკმაოდ მწვავე პრობლემები. ბატონმა საიმონმა დამსწრეებს ყველა შეკითხვაზე ამომწურავად უპასუხა და იმედი გამოთქვა, რომ პრობლემები უახლოეს მომავალში მოგვარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ფეხბურთის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

უეფა ყოველთვის მზადაა ფინანსურად თუ კონსულტაციების სახით დაგვეხმაროს სისტემის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფაში. თუმცა, ის მუდმივად გააკონტროლებს სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების მუშაობას და ამ მიზნით მომავალ სეზონშიც ეწვევა როგორც სფფ-ს, ისე უშუალოდ საფეხბურთო კლუბებს.

ვიზიტის დასასრულს საიმონ პატრიკმა კმაყოფილება გამოთქვა სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების მუშაობით და მადლობა გადაგვიხადა გულთბილი მიღებისთვის.

ტურინი 2006

ტურინის მილიონები და შიშველი ლამაზმანი

ტურინელებმა კალკულატორები მოიმარჯვეს და დაითვალეს, რა მოგება მოუტანა მასპინძლებს ტურინის ოლიმპიურმა თამაშებმა. როგორც თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი და ტურინის მერია ირწმუნება, სუფთა მოგებამ 268 მილიონი ევრო შეადგინა. თუმცა, ვიდრე საქმე მოგებამდე მივიდოდა, მანამდე 707 მილიონი ევრო დახარჯეს, აქედან ინფრასტრუქტურის მოწყობაზე - 163 მილიონი, ხოლო ტექნიკური მოწყობილობებისთვის - 257 მილიონი. თუმცა, მოგება ამით არ დასრულებულა.

ტურინის ოლიმპიურმა თამაშებმა 974,4-მილიონიანი მოგებაც მოიტანა: 470 მილიონი ევრო - ტელეტრანსლაციათა უფლების გაყიდვით, 420 მილიონი - სპონსორებიდან შესული თანხით, 15 მილიონი - ლიცენზიის გაყიდვით და 69,4 მილიონი ევრო - ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთებიდან შემოსული თანხით. ბილეთებიდან შემოსული მოგება თავდაპირველად 64,4 მილიონი ევროთი განისაზღვრა, მაგრამ ოლიმპიური თამაშების მეექვსე დღეს გაირკვევა, რომ თამაშების ორგანიზატორთა მოლოდინი სასიამოვნოდ არ გამართლდა.

ორი კვირის განმავლობაში მთლიანად 900 ათასი ბილეთი გაიყიდა. თუ ამას დავუმატებთ 30 ათას ბილეთსაც, რომელიც გულშემატკივართათვის სპორტსმენთა ვარჯიშებზე დასასწრებად იყო გათვალისწინებული, ციფრი უფრო შთამბეჭდავი ხდება. ტურინსა და პიემონტის ოლქს თამაშების მსვლელობისას მილიონამდე ტურისტი ეწვია. ამასთან, ტურინიდან მთიან რეგიონებში, სადაც ასპარეზობათა უმეტესობა ჩატარდა, საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი გადაიყვანა.

მოვიშველიოთ სხვა სტატისტიკაც. ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალზე გულშემატკივართა და ცერემონიალის მონაწილეთა სიმშვიდეზე ზრუნავდა 1300 სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი. დახურვის ცერემონიალისთვის უსაფრთხოებაზე მზრუნველებმა ტურინის თავზე ხუთი მილის რადიუსზე საჰაერო სივრცე დახურეს ადგილობრივი დროით 18:45-დან 23:15 საათამდე. კარაბინერთა ოთხი შვეულმფრენი პატრულირებდა უშუალოდ სტადიონის თავზე, ხოლო სამოქალაქო ფორმაში გადაცმული სპეცსამსახურების თანამშრომლები ათასობით გულშემატკივარს შორის გაფანტულიყვნენ, ხოლო სტადიონის ოვალურ სახურავზე და მიმდებარე შენობებზე სნაიპერები ჩამწკრივებულიყვნენ. ამასთან, დახურულ საჰაერო სივრცეს აკონტროლებდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსი ხუთი რადარითა და ექვსი საზენიტო დანადგარით. თუმცა, დაცვის შესაბამისმა რაოდენობამაც კი თავიდან ვერ აიცილა ორი სპორტსტარ აქცია. საკარნავალო მსვლელობის დასაწყისშივე ცენტრალური სტადიონის არენაზე პლაკატით ხელში შეიარაღებული შიშველი გოგო შევარდა. ქერათმიან ლამაზმანს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა კიდევ ერთი დამთხვეული - ამ შემთხვევაში ბიჭი. თავზეხელაღებულთა მსვლელობას უმალ გზა გადაუღობა დაცვამ.

საპროტესტო აქციის მეორე ნაწილი დახურვის ცერემონიალის ბოლოს მოეწყო. როდესაც თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი ვალენტინო კასტელანი სიტყვით გამოდიოდა, მასთან მივარდა უცნობი შავმაისურიანი და მიკროფონში ინგლისურად დაიყვირა: "ვნება". ეს ერთადერთი სიტყვა იყო, რომლის წარმოთქმაც მოასწრო, რადგან მასთან დაცვის თანამშრომლები მიცვივდნენ და უცნობი მიკროფონიანად სცენიდან მოხსნეს. კასტელანიმ წარმოუდგენელი სიმშვიდე შეინარჩუნა, ისე რომ მომხდურისკენ თვალიც კი არ გაუპარებია. მხოლოდ პატარა პაუზა გააკეთა.

ამის შემდეგ თამაშების დახურვის ცერემონიალმა სრულ სიმშვიდეში ჩაიარა.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის კომპიუტერული ტექნიკის და სახარჯი მასალის შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

2. დაინტერესებულ პირებმა საერთაშორისო ღია ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის N345919, ბანკის კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გიაცემა ა.ნ. 28 თებერვლიდან 21 მარტამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად.

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცენები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **ა.წ. 21 მარტის 15 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. საკვალიფიკაციო მონაცენები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 21 მარტის 15 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 21 მარტს 15 საათზე.**

9. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: **517406**.

სატენდერო კომისია

ლოტი N	დასახელება	მახასიათებლები	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი
1	კომპიუტერი	MB ASUSTEK P5WD2 Premium, 450 W, DUAL DDR2-5300 (4x512 MB), INTEL PENTIUM D940, CD-ROM 52X, HDD WD RAPTOR (740GD), FDD, DVD-RW PLEXTOR (PX 716 SA), ATI RADEON X1900XTX), wireless mouse and keyboard, Speakers	1	მარტი
		MB ASUSTEK P5WD2 Premium, 450 W, DUAL DDR2-5300 (4x512 MB), INTEL PENTIUM D940, CD-ROM 52X, HDD WD RAPTOR (740GD), FDD, ATI RADEON X1900XTX), Opticall Mouse, MM Keyboard, Speakers	1	მარტი
2	კომპიუტერი	3.0GHz/800 1024KB or higher (სასურველი მსგავსება - intel pentium); 2xDDR400 (2x512 MB), motherboard (800, Dual 4 DDR 400, sata, Video+Lan+sound card ინტეგრირებული,), 120 Gb HDD sata, CD-RW, FDD, Opticall Mouse, MM Keyboard, Speakers	15	მარტი-აპრილი 2006 წელი
3	კომპიუტერი	3.0GHz/800 1024KB or higher (სასურველი მსგავსება _ intel pentium); 2xDDR400 (2x512 MB), motherboard (800, Dual 4 DDR 400, sata, Video+Lan+sound card integrirebuli,), 120 Gb HDD sata, DVD-RW, FDD, wireless mouse and keyboard, 3xSpeakers slim 330w	1	მარტი-აპრილი 2006 წელი
4	კომპიუტერი	2,66 GHz or higher (სასურველი მსგავსება - intel/celeron); RAM 512 Mb DDR 400, 40 Gb HDD, Video+Lan+sound card ინტეგრირებული, CD-ROM, FDD, Opticall Mouse, MM Keyboard, Speakers	54	აპრილი-მაისი, 2006 წელი
5	მონიტორი	17" LCD 1280x1024 dpi, ,12ms, TCO99	10	მარტი-აპრილი 2006 წელი
6	მონიტორი	20" LCD	1	მარტი, 2006 წელი
7	მონიტორი	40" LCD/TV	1	მარტი, 2006 წელი
8	მონიტორი	17" FLAT 1024x768 85 Hz	60	აპრილი-მაისი, 2006 წელი
9	უწყვეტი კვების წყარო	600VA	70	მარტი-აპრილი 2006 წელი
10	უწყვეტი კვების წყარო	1000VA	5	20 მარტი, 2006 წელი
11	უწყვეტი კვების წყარო	1500VA	10	მარტი-აპრილი 2006 წელი
12	ლაზერული პრინტერი	Printer A4, 12 PPM, 600 dpi, 8 Mb RAM, USB TCO99	80	მარტი-აპრილი, 2006 წელი
	ლაზერული პრინტერის კარტრიჯი	შემოთავაზებული პრინტერის შესაბამისი კარტრიჯი (ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს 2006 წლის განმავლობაში თითო კარტრიჯის ორ ჯერადი დატუმბვა)	40	მარტი-აპრილი, 2006 წელი
13	ლაზერული პრინტერი	Color LaserJet, 16/16ppm 64mb	2	აპრილი, 2006 წელი
	ლაზერული პრინტერის კარტრიჯი	შემოთავაზებული პრინტერის შესაბამისი კარტრიჯი	10	აპრილი, 2006 წელი
14	ფაქსის აპარატი	A4 Plain Paper, Autoanswer, phone, 14,4 Kb/s	10	აპრილი, 2006 წელი
	ფაქსის ლენტა	შემოთავაზებული ფაქსის აპარატის შესაბამისი ლენტა	20	აპრილი, 2006 წელი
15	სკანერი	A4, 2400 dpi optical resolution, 48 bit color depth, Preview: 10 sec; USB 2.0	1	აპრილი, 2006 წელი
16	ასლგადამღები აპარატი	Digital Copier, (copier+scanner+printer+fax) A4, 16 PPM, 600x600 dpi, Color Scan Resolution - 600 x 600 dpi, Zoom 25-400%, Modem Speed - 33.6 Kb/Sec, Memory - 16 MB, Monthly volume: not less then 10.000 Pages	10	მარტი, 2006 წელი
	ასლგადამღები აპარატი კარტრიჯი	შემოთავაზებული ასლგადამღები აპარატის შესაბამისი კარტრიჯი	10	მარტი, 2006 წელი

სახარჯი მასალის

ლოტი N	კარტრიჯის დასახელება	რაოდენობა	საქონლის მოწოდების ვადები
17	HPPSC 27	5 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
	HPPSC 28	5 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
18	HPDJ 45d	3 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
	HPDJ 78d	4 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
19	Lexmark 16	3 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
	Lexmark 26	3 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
20	lexmark 32	7 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
	lexmark 33	7 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
21	Xerox p-16	2 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
22	Vivace 340	3 ერთეული	მარტი-აპრილი 2006 წელი
23	Hp 1020-is კარტრიჯი 12A	15	მარტი-აპრილი 2006 წელი
24	Hp 1300n-is კარტრიჯი	8	მარტი-აპრილი 2006 წელი
25	ასლგადამღები აპარატის XEROX COPYCENTERE C118-ის კარტრიჯი	20	მარტი-აპრილი 2006 წელი
26	ასლგადამღები აპარატის XEROX COPYCENTERE C118-ის დოლი	5	მარტი-აპრილი 2006 წელი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს ტენდერს

ერთი ცალი დიზელის საწვავზე მომუშავე 100-120 კვტ სიმძლავრის სამფაზიანი გენერატორის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბანკო ანგარიშზე: ბანკი "რესპუბლიკა" სადგურის ფილიალი კოდი 220101759, სალარე № 60034080001, სავალუტო № 60034180001, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 23 მარტის 15 საათამდე მისამართზე: 0112, ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა 13, მე-2 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 23 მარტიდან 24 მარტის 15 საათამდე მისამართზე: ქ7 თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა 13, მე-2 სართული.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 24 მარტს 15 საათზე, სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიული პირებისათვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2. ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

3. ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და შესაბამისი სასამართლოდან);

4. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები);

5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;

6. ინფორმაცია ბოლო 2 წლის მანძილზე განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა).

საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც, მათი არსებობის შემთხვევაში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარული დღე. საქონლის მიწოდების ადგილია შპს სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტი. მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა 13.

შენიშვნა: არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

დავით შუბითიძე, ტელ. 899 53 40 79; მაია გულორდავა, ტელ: 893 45 26 21. მისამართზე: თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა 13, მ

institute for war & peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

აფხაზეთის ელიტამ ერთიანობის დეკლარაცია მიიღო

აფხაზეთის პრეზიდენტი და მისი პოლიტიკური მეტოქეები ეროვნული ერთიანობის დემონსტრირების მიზნით წარსულ დაპირისპირებას ივიწყებენ.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

გასულ კვირას აფხაზეთის ელიტის წარმომადგენლებმა უპრეცედენტო დეკლარაციას მოაწერეს ხელი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამით საქართველოს მთავრობის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის მიმართ ერთიანი პოზიცია გამოხატეს.

16 თებერვალს ერთობლივ დეკლარაციას ხელი პირველად პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა, ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ, პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა და პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ მოაწერეს. ამით მათ აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობისადმი მისწრაფება კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

ამ ოთხ ხელმოწერას აფხაზეთის საზოგადო მოღვაწეთა, მათ შორის რაიონული საბჭოების თავმჯდომარეების, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და სამოთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების გაცნობის შთაბეჭდილება სია მოსდევს.

ასეთი უპრეცედენტო ერთიანი პოზიციის შემუშავების იდეა ხაჯიმბასთან მწვავე დაპირისპირების შემდეგ სერგეი ბაგაფშის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ წელინახევრში გაჩნდა. ამ დოკუმენტის შემუშავების ინიციატივით ოპოზიციური მოძრაობა „როგორც ერთიანობის ფორუმი“ გამოვიდა.

დოკუმენტის ხელმოწერამდე ცოტა ხნით ადრე IWPR-თან ინტერვიუში აფხაზეთის ლიდერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობის პირველი წელი 2004 წლის არჩევნებში დაპირისპირებით გამორჩეული ქრილობების მოშუშების მანძილი იქნებოდა – ამ დაპირისპირებამ აფხაზეთი თითქმის სამოქალაქო ომის პირას მიიყვანა.

„პრეზიდენტის სიყვარულს არავის ვთხოვ და არც მე ვაპირებ ვინმესთან ერთად საქორწილო ბილეთში წასვლას. მყავს მეულლე და ჩვენ უკვე 30 წელია, ერთად ვართ. მაგრამ მთავარია, გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო და ჩვენი ხალხი. ერთი რამ უნდა გავითვიცნობიერთ – ნებისმიერი ძიდა პოლიტიკური უთანხმოება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის შესუსტებას გამოიწვევს“, – განაცხადა ბაგაფშმა IWPR-თან საუბარში.

„ამიტომ, ჩემი აზრით, რესპუბლიკაში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიისა და მოძრაობის მიმართ ეთიკის მოთხოვნება კარგი ინიციატივა იყო. მზად ვარ, ყველასთან – ვიცე-პრეზიდენტთან, პრემიერსა და სპიკერთან ერთად ხელი მოვაწერო მას. საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის მიმართ ჩვენ ერთსულოვნად ვიქნებით. ამ საკითხზე ჩვენ ერთნი ვიქნებით“, – დასძინა მან.

გასულ ივნისში ოპოზიციურმა პარტიებმა და მოძრაობებმა ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსი უჭერდნენ, რომელიც ეკავა ხასაიი-ტასა და კიზლარის მერებს ირჩევნებში უნდა გამხარულიყო. თუმცა ამ განზრახვაზე მას შემდეგ თქვეს უარი, რაც პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის ფედერაციის მასშტაბით რესპუბლიკების მეთაურების არჩევნები გააუქმა. ახალი სისტემის მიხედვით, ამ თანამდებობაზე კანდიდატს პუტინი ასახელებს და მას ადგილობრივი პარლამენტი ამტკიცებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დაღესტნის სახალხო კონგრესის“ თავმჯდომარის სალაუ ალიევის განცხადებით, რუსეთის ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვან რესპუბლიკაში – დაღესტანში არჩევნების გაუქმებამ დაძაბულობის განსუსტებას შეუწყო ხელი. „ძალაუფლების გადაცემის პრობლემა დღის წესრიგში აღარ დგას“, – განაცხადა მან.

„ქვაბრთელობის მდგომარეობის გამო დიდხანს მუშაობას ველარ შეძლებ“, – განუცხადა 75 წლის მაგომედოვმა. პრეზიდენტ პუტინს 17 თებერვალს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენისას. მაგომედოვი რესპუბლიკის 1991 წლიდან მართავდა.

კონსულტაციების შემდეგ პუტინის წარმომადგენლმა ჩრდილოეთ კავკასიაში დიმიტრი კოზაკმა სამი კანდიდატური შეარჩია – მახაჭალის გაფლენიანი მერი საიდ ამიროვი, ხაზინის დაღესტანის სამმართველოს ხელმძღვანელი საიგიდპუსენ მაგომედოვი და პარლამენტის სპიკერი მუხუ ალიევი. მაგომედოვმა და მისმა მხარდამჭერებმა უკანასკნელი აირჩიეს და შესაბამისად, პრეზიდენტ პუტინის სასურველ კანდიდატადაც ალიევი გამოცხადდა.

ოპოზიციონერი დეპუტატის სულეიმან ულადიევის განცხადებით, ხელისუფლებამ კოზაკთან კონსულტაციების პროცესიდან ოპოზიციის გამოთიშვა სცადა. ერთ-ერთ ოპოზიციონერ რედაქტორს ჰაჯიმურად ვამალიევს დაატყვევეს ბინეს მთავრობის შენობა, სადაც პრეზიდენტის წარმომადგენლთან შეხვედრა მიიმდინარეობდა.

„როცა დებატების შემდეგ ამიროვმა გაიგო, რომ პუტინი მხარს ალიევს უჭერდა, საკუთარი კანდიდატურა მოხსნა“, – განაცხადა მთავრობის წყარომ IWPR-თან საუბრისას. აღსანიშნავია, რომ სიიდ ამიროვს მხარს დეპუტატთა დაახლოებით 40 პროცენტი უჭერდა. საიგიდპუსენ მაგომედოვს მხარს ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსი უჭერდა, რომელიც ჯალუ ხასაივიურტისა და კიზლარის მერების ირგვლივ შეიქმნა. თუმცა, როცა ნათელი გახდა, რომ ალიევი გაიმარჯვებდა, ყველა დეპუტატმა ამ უკანასკნელისთვის ხმის მიცემა გადაწყვიტა.

ახალი პრეზიდენტი 65 წლისაა და იგი 1990-91 წლებში რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ხელმძღვანელი იყო. 1995 წლიდან ალიევი, რომელიც რესპუბლიკის ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის – აყარის წარმომადგენელია, ადგილობრივი პარლამენტის სპიკერია.

ზოგიერთი მიმოხილველი მიიჩნევს, რომ დაღესტანში, სადაც ბოლო წლებში პოლიტიკური ძალადობა და კორუფცია „ცვალობა“, ალიევის მმართველობისას სიტუაცია არ შეიცვლება.

„თუ მუხუ ალიევი პრეზიდენტი გახდება, რესპუბლიკაში არაფერი შეიცვლება. ყველა პრობლემა ისევე მოუგვარებელი დარჩება, როგორც აქამდე იყო“, – განაცხადა ულადიევმა IWPR-თან საუბარში.

დაღესტნის ეთნოპოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორის ამდულაჰამედ ალიევის თქმით, მუხუ ალიევის კანდიდატურა კრემლისთვის საუკეთესო არჩევანი იყო, რადგან ამ შემთხვევაში ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილება არ მოხდება და მოსკოვი ამ არასტაბილურ რეგიონზე კონტროლსაც შეინარჩუნებს.

„მუხუ ალიევი პრაგმატიზმით პოლიტიკოსია, რომელსაც სახელმწიფო ამარტვით ბრძოლის გამოცდილება აქვს. იგი დისტანციას იჭერს ეთნიკური ნაწილებისგან ან კლანის საფუძველზე შექმნილ პოლიტიკური ჯგუფებისგან. ამიტომ მას არა მარტო ავარები, რომლებიც მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენენ, არამედ ალიევს ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც უჭერენ მხარს“, – ამბობს ამდულამიდ ალიევი.

თუმცა, მოსკოველი პოლიტიკური მიმომხილველის ენერგ კისრიევის აზრით, ალიევი დამოუკიდებელი პოლიტიკოსია და მას მართვის განსხვავებული სტილი ექნება.

„მუხუ ალიევი რესპუბლიკის ნინა მეთაურისგან განსხვავებით, პოლიტიკური თამაშების ოსტატი ნამდვილად არ არის. მოსალოდნელია, რომ დაღესტანში მეტი წესრიგი იქნება, ადმინისტრაციული რეფორმა განხორციელდება და მართვის სისტემაც გარეშეკობესდება“, – ამბობს კისრიევი.

„ისევდროულად, არსებობს საფრთხე, რომ წესრიგის დამყარებით და ხალხისთვის კანონიერი შემოსავლის პირობების შექმნის გარეშე შემოსავლის თუნდაც უკანონო წყაროს გადაკეტვით, ძნელია საზოგადოების უკმაყოფილება და ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს“, – დასძენს იგი.

მახაჭალის ეკონომიკისა და პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის ამდულლაის თქმით, კანდიდატის შერჩევის პროცესში უამრავი პრობლემა არსებობდა და ახალი ლიდერის არჩევას ისე მშვიდად სულაც არ ჩაუვლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

„მართალია პირველი პრეზიდენტის არჩევამ თითქოს უბრუნოდ ჩაიარა, მაგრამ კულისებში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა“, – განაცხადა მან.

„მაგომედოვ მაგომედოვის მმართველობის დროს დაღესტანში სისტემური ოპოზიციის ფორმირება არ მოხდა. არსებობდნენ ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებასთან ხვდებოდნენ. ადამიანები, რომლებიც რამდენიმე კვირის წინ აბსოლუტურად განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, ახლა ერთმანეთს ზრდილობიანად ესაუბრებოდნენ.

ცერემონია ბაგაფშმა გახსნა. პირველ რიგში მან სერიოზული განცხადება გააკეთა 1993 წლიდან აფხაზეთში მოქმედი სამშვიდობო მისიის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს მცდელობის შესახებ. „ჩვენს მიწაზე სამშვიდობო ოპერაციის არჩევის გარდა ვერავინ განბორკილებს. ეს აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობისა და ქვეყნის ხელისუფლების ერთიანი პოზიციაა“, – განაცხადა ბაგაფშმა.

ამის შემდეგ მან საქართველოს მთავრობა გალის რაიონში „ტერორის მონყობაში“ დაადანაშაულა. გალში გასულ თვეს ძალადობამ იფეთქა, რომლის პროვოცირებაშიც მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ.

პრეზიდენტმა გამოსვლის შემდეგ ტრიბუნასთან დეკლარაციის ნაკაწრებიდან მთაერობის მომხრე პოლიტიკური მოძრაობის „აიტპარას“ ერთ-ერთი ლიდერი ოლეგ დამენია გამოვიდა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველო რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანას დაჟინებით ცდილობს. „ეოსეთის შესაძლო აღიარებამ უაბლოეს მომავალში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის საერთაშორისო სამართლებრივი პრეცედენტი შეიძლება შექმნას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლას ძალის გამოყენებით კოსოვოს დამოუკიდებლობის ალიარებამდე შეეცდება“, – ნათქვამია დეკლარაციაში.

დოკუმენტი ხელიდან ხელში გადიოდა. მას ხელი ყველამ მოაწერა.

აფხაზეთში დეკლარაცია დადებითად მიიღეს – ყოველ შემთხვევაში, არც ერთ საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ მოღვაწეს და მედიის წარმომადგენელს უარყოფითი შეფასება არ გამოუთქვამს.

„როცა ომის საფრთხე არსებობს, ჩვენ შორის განხეთქილება არ უნდა იყოს. ჩვენ ერთიანი აფხაზი ხალხი ვართ, რომელსაც ერთი დიდი მიზანი აქვს – დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება“, – განაცხადა მწერალმა ნიკოლაი კუცნიამ.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში.

www.iwpr.net

ხელისუფლების უხმაურო ცვლილება დაღესტანში

ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე დიდი რესპუბლიკის მეთაური, რომელიც ქვეყნის დიდი ხნის განმავლობაში ბელმოღვაწეობის თანამდებობიდან გადადგა. მისი ადგილი კონსენსუსის გზით შერჩეულმა კანდიდატმა დაიკავა.

დაღესტნის სახალხო კრების (პარლამენტის) ყოფილი თავმჯდომარე მუხუ ალიევი პარლამენტარმა 20 თებერვალს დაამტკიცა. 102 დეპუტატიდან მის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ ერთმა მისცა.

რესპუბლიკის ახალი მეთაურის არჩევის პროცესმა ერთი შეხედვით გარეშეულებისთვის დაარეულობის გარეშე ჩაიარა. მიუხედავად ამისა, ახალი ლიდერი მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე დგას. მას რეფორმების განხორციელების აუცილებლობისა და იმ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების დაბალანსება მოუწევს, რომლებიც რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებას განსაზღვრავენ.

დაღესტანის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ალიევი რესპუბლიკის პრეზიდენტის ტიტულის მატარებელი პირველი ადამიანი ხდება. რესპუბლიკის უმაღლეს ორგანო – 14 წევრისგან შემდგარი ძველი სახელმწიფო საბჭო გაუქმებულია.

მაგომედოვის გადადგომიდან სამი დღის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ხელისუფლების გადაცემა ყოფილ ლიდერთან შეთანხმებული იყო. მაგომედოვის ვაჟი, მაგომედსალამ მაგომედოვი მუხუ ალიევის ყოფილ თანამდებობაზე – პარლამენტის სპიკერად აირჩიეს.

ამ დროისთვის უფროსი მაგომედოვი დაღესტნის ლიდერად კიდევ სამი თვე უნდა დარჩენილიყო. ხელისუფლების ცვლილების გარდამავალი პროცესი ჯერ სრულყოფილად დანცებული არც იყო. მაგომედოვის გარემოცვის მიერ გავრცელებული ხმების თანახმად, იგი პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის დასახელებას აპირებდა.

2004 წლამდე არსებული გეგმის თანახმად, დაღესტანში (ის რუსეთის ერთადერთ რეგიონად რჩება, რომელსაც პირდაპირ არჩეული ლიდერი არ ჰყავდა) რესპუბლიკის მეთაურის პირდაპირი არჩევნები უნდა გამართულიყო. თუმცა ამ განზრახვაზე მას შემდეგ თქვეს უარი, რაც პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის ფედერაციის მასშტაბით რესპუბლიკების მეთაურების არჩევნები გააუქმა. ახალი სისტემის მიხედვით, ამ თანამდებობაზე კანდიდატს პუტინი ასახელებს და მას ადგილობრივი პარლამენტი ამტკიცებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დაღესტნის სახალხო კონგრესის“ თავმჯდომარის სალაუ ალიევის განცხადებით, რუსეთის ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვან რესპუბლიკაში – დაღესტანში არჩევნების გაუქმებამ დაძაბულობის განსუსტებას შეუწყო ხელი. „ძალაუფლების გადაცემის პრობლემა დღის წესრიგში აღარ დგას“, – განაცხადა მან.

„ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დიდხანს მუშაობას ველარ შეძლებ“, – განუცხადა 75 წლის მაგომედოვმა პრეზიდენტ პუტინს 17 თებერვალს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენისას. მაგომედოვი რესპუბლიკას 1991 წლიდან მართავდა.

კონსულტაციების შემდეგ პუტინის წარმომადგენლმა ჩრდილოეთ კავკასიაში დიმიტრი კოზაკმა სამი კანდიდატურა შეარჩია – მახაჭალის გავლენიანი მერი საიდ ამიროვი, ხაზინის დაღესტანის სამმართველოს ხელმძღვანელი საიგიდპუსენ მაგომედოვი და პარლამენტის სპიკერი მუხუ ალიევი. მაგომედოვმა და მისმა მხარდამჭერებმა ეს უკანასკნელი აირჩიეს და შესაბამისად, პრეზიდენტ პუტინის სასურველ კანდიდატადაც ალიევი გამოცხადდა.

ოპოზიციონერი დეპუტატის სულეიმან ულადიევის განცხადებით, ხელისუფლებამ კოზაკთან კონსულტაციების პროცესიდან ოპოზიციის გამოთიშვა სცადა. ერთ-ერთ ოპოზიციონერ რედაქტორს ჰაჯიმურად ვამალიევს დაატყვევეს ბინეს მთავრობის შენობა, სადაც პრეზიდენტის წარმომადგენლთან შეხვედრა მიმდინარეობდა.

„როცა დებატების შემდეგ ამიროვმა გაიგო, რომ პუტინი მხარს ალიევს უჭერდა, საკუთარი კანდიდატურა მოხსნა“, – განაცხადა მთავრობის წყარომ IWPR-თან საუბრისას. აღსანიშნავია, რომ სიიდ ამიროვს მხარს დეპუტატთა დაახლოებით 40 პროცენტი უჭერდა. საიგიდპუსენ მაგომედოვს მხარს ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსი უჭერდა, რომელიც ჯალუ ხასაივიურტისა და კიზლარის მერების ირგვლივ შეიქმნა. თუმცა, როცა ნათელი გახდა, რომ ალიევი გაიმარჯვებდა, ყველა დეპუტატმა ამ უკანასკნელისთვის ხმის მიცემა გადაწყვიტა.

ახალი პრეზიდენტი 65 წლისაა და იგი 1990-91 წლებში რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ხელმძღვანელი იყო. 1995 წლიდან ალიევი, რომელიც რესპუბლიკის ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის – აყარის წარმომადგენელია, ადგილობრივი პარლამენტის სპიკერია.

ზოგიერთი მიმოხილველი მიიჩნევს, რომ დაღესტანში, სადაც ბოლო წლებში პოლიტიკური ძალადობა და კორუფცია „ცვალობა“, ალიევის მმართველობისას სიტუაცია არ შეიცვლება.

„თუ მუხუ ალიევი პრეზიდენტი გახდება, რესპუბლიკაში არაფერი შეიცვლება. ყველა პრობლემა ისევე მოუგვარებელი დარჩება, როგორც აქამდე იყო“, – განაცხადა ულადიევმა IWPR-თან საუბარში.

დაღესტნის ეთნოპოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორის ამდულაჰამედ ალიევის თქმით, მუხუ ალიევის კანდიდატურა კრემლისთვის საუკეთესო არჩევანი იყო, რადგან ამ შემთხვევაში ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილება არ მოხდება და მოსკოვი ამ არასტაბილურ რეგიონზე კონტროლსაც შეინარჩუნებს.

„მუხუ ალიევი პრაგმატიზმით პოლიტიკოსია, რომელსაც სახელმწიფო ამარტვით ბრძოლის გამოცდილება აქვს. იგი დისტანციას იჭერს ეთნიკური ნაწილებისგან ან კლანის საფუძველზე შექმნილ პოლიტიკური ჯგუფებისგან. ამიტომ მას არა მარტო ავარები, რომლებიც მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენენ, არამედ ჯალუ ხასაივიურტისა და კიზლარის მერების ირგვლივ შეიქმნა“, – ამბობს ამდულაჰამედ ალიევი.

თუმცა, მოსკოველი პოლიტიკური მიმოხილველის ენერგ კისრიევის აზრით, ალიევი დამოუკიდებელი პოლიტიკოსია და მას მართვის განსხვავებული სტილი ექნება.

„მუხუ ალიევი რესპუბლიკის ნინა მეთაურისგან განსხვავებით, პოლიტიკური თამაშების ოსტატი ნამდვილად არ არის. მოსალოდნელია, რომ დაღესტანში მეტი წესრიგი იქნება, ადმინისტრაციული რეფორმა განხორციელდება და მართვის სისტემაც გაუმჯობესდება“, – ამბობს კისრიევი.

„მაგრამ ისევდროულად, არსებობს საფრთხე, რომ წესრიგის დამყარებით და ხალხისთვის კანონიერი შემოსავლის პირობების შექმნის გარეშე შემოსავლის თუნდაც უკანონო წყაროს გადაკეტვით, ძნელია საზოგადოების უკმაყოფილება და ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს“, – დასძენს იგი.

მახაჭალის ეკონომიკისა და პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის ამდულლაის თქმით, კანდიდატის შერჩევის პროცესში უამრავი პრობლემა არსებობდა და ახალი ლიდერის არჩევას ისე მშვიდად სულაც არ ჩაუვლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

„მართალია პირველი პრეზიდენტის არჩევამ თითქოს უბრუნოდ ჩაიარა, მაგრამ კულისებში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა“, – განაცხადა მან.

„მაგომედოვ მაგომედოვის მმართველობის დროს დაღესტანში სისტემური ოპოზიციის ფორმირება არ მოხდა. არსებობდნენ ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებასა და დაწოლის სისტემის ფარგლებში პოლიტიკურ პროცესში ჩართვას შეძლებს, მათი ურთიერთობის უფრო ნაყოფიერი გახდება“, – დასძინა დიპლომატმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR) დამოუკიდებელი საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას ომისა და კონფლიქტების შესახებ. საქართველოში IWPR-ის ოფისის პროექტის ფარგლებში, პროექტის მიზანია ქართული ადგილობრივი მასმედიის მხარდაჭერა და მოსალი ინფორმაციის ფლობის უნარების განვითარება.
ომისა და კონფლიქტის ანგარიშგების ჟურნალისტიკის სკოლის ფარგლებში, ჟურნალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ თავიანთი პროფესიული უნარები.
კონფლიქტის ანგარიშგების ჟურნალისტიკის სკოლის კურსდამთავრებულთა ინფორმაციული ბიულეტენი. ბიულეტენის მიზანია ინფორმაციის გავრცელება სკოლის კურსდამთავრებულთა საქმიანობის შესახებ. ბიულეტენის რედაქტორი: ნინო ბურჯანაძე. ბიულეტენის ელექტრონული ვერსია: www.iwpr.ge

ტელეკრიტიკა

ანალიტიკოსი კურიერი თანამედროვე დროებაში

ყოველ კვირას, საღამოს 9 საათზე ნახეთ "კურიერი P.S." და "დროება"

ვინაიდან გადაცემები პარალელურ რეჟიმში მუშაობენ, ამიტომ უკანასკნელი კვირა საღამო და ორშაბათის დილა ტელეეკრანთან გავატარე და შევეცადე ზოგადი ტენდენციები გამომეყო ამ ერთი დღის და ორი გადაცემის მთლიანად შესწავლისას.

ნინია კაკაბაძე

ქართულ ტელემედიაში ორი ანალიტიკური გადაცემა არსებობს. ერთი "რუსთავი 2-ზე" გადის და მას "კურიერ P.S." ჰქვია, მეორე კი "იმედზე" - "დროება". "რუსთავი 2"-ის გადაცემა თავის სახელწოდებას ასე თუ ისე ამართლებს - ის, რაც მთელი კვირის განმავლობაში "რუსთავი 2"-ის ეთერში გადის, შემდეგ მისი ვრცელი და სრულყოფილი ვერსია კვირა დღეს უნდა გავიდეს, აშკარაა, რომ გადაცემის ავტორები ამას ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ "იმედის" ანალიტიკური გადაცემის სახელწოდება უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, პროგრამის პირველი ნაწილი ზუსტად იგივეს ცდილობს და კვირის პოპულარულ თემებს, რომელზედაც ხელისუფლება თუ საზოგაოდება აქტიურად საუბრობს, საკუთარ გადაცემაში ვრცლად გადმოგვცემს.

ზოგადი შტრიხები. ორივე მათგანი, ისევე როგორც მთლიანობაში გადაცემის ასევე ცალკეული რეპორტაჟების ქრონომეტრაჟი, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად გრძელია. ამიტომ მაყურებელი, დაუსრულებლად დასასრულს ელის. არსებობს თემები, რომელზეც არც ერთი მათგანი, არასდროს ამბობს უარს, მაგალითად, ქათმის გრიპი, მაგრამ ამ ორ გადაცემაში მოწოდებულ ინფორმაციას შორის სხვაობა მაინც არის. ამაზე მოგვიანებით. ასევე საერთოა რამაზ ჩხიკვაძე და მაყურებელი "კავკასიური ცარცის წრის" მოლოდინში, რუსულ-ქართული ურთიერთობები, ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალება და ა.შ. ერთი კვირის დაგვიანებით "დროების" კვალს მისდევს "კურიერ P.S." და, როგორც ეტყობა "ზეციდან" მიღებული ნებართვის შედეგად, ისიც უთმობს ეთერს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს. ახლა კი მოკლედ ყოველი მათგანის შესახებ და რამდენიმე დეტალი.

გირგვლიანის საქმე. ის, რომ მედიას თანამედროვე სამყაროში უდიდესი ფუნქცია აქვს და მას შეუძლია ქვეყნის ისტორიაში უდიდესი ცვლილებები მოახდინოს, კარგად აქვს გააზრებული საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ ნაკლებად აცნობიერებს ამას საზოგადოება. ამიტომ არ იჩენს სათანადო ინიციატივას, მიიღოს ინფორმაციის გამჭვირვალობა. კარგად გრძნობს საკუთარ მნიშვნელობას მედია, მაგრამ ამას ნებით თუ უნიბლიეთ, უმეტეს შემთხვევაში ამ ე.წ. სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად იყენებს და არა ხალხის, ან კი თუნდაც ერთი ადამიანის. სანდრო გირგვლიანის საზარელი მკვლელობის შემდეგ, დაახლოებით ორ-სამ დღეში ქალაქში დადის ხმა, რომ ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაახლოებული პირები და თანამშრომლები მონაწილეობდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ მსხვერპლის ოჯახის წევრები არ ჩერდებიან და საქმის გამოძიებას ითხოვენ, დავიწყებას არ ეძლევა ეს ამბავი და ერთი კვირის წინ გადაცემა "დროებაში" გადის ვრცელი და პრაქტიკულად მტკიცებულებებით სავსე სიუჟეტი. ვინაიდან, ადრე თუ გვიან, ეს სიუჟეტი გაჩნდა სატელევიზიო მედიაში, ამ შემთხვევაში დაგვიანებისთვის შენიშვნისგან თავს შეიკავებ. გიორგი თარგამაძის გადაცემაში გასული სიუჟეტის შემდეგ იწყება ამ მკვლელობაზე კიდევ ერთხელ და ამ შემთხვევაში უკვე არსებითი საუბარი. გადაცემა სახელწოდებით "კურიერი", რომელსაც თავისუფლად ვუწოდებდით, საუკეთესო შემთხვევაში კრიმინალურ ქრონიკას, უარეს შემთხვევაში კი კრიმინალურ მაკულატურას, ამ ფაქტზე პრაქტიკულად არ რეაგირებს. ამ შემთხვევაში საჭიროა გავიაზროთ, რომ სწორედ "იმედზე" გასულ რეპორტაჟს მოჰყვა, სახალხო დამცველის მოკლე, მაგრამ საჭირო კომენტარი, საზოგადოების ხელმეორედ გამოფხიზლება და გამოძიების პროცესის გამჭვირვალობის მოთხოვნა. ვინ იცის, შესაძლებელია, რომ არა მედიის აქტიური ჩარევა, ეს საქმე საბოლოოდ მიეჩქმალათ. აქ, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, "კურიერი" მხოლოდ სხვის მაგალითზე ახმაურებს თემას. მაგრამ ერთი საგულისხმო დეტალი, სწორედ ამ სიუჟეტში სანდრო გირგვლიანის ბაბუა, საუბრობს იმის შესახებ, რომ მაშინ, როდესაც სამართალდამცავების მიმართ სერიოზული ბრალდებები გაისმა, მერაბიშვილის სტრუქტურამ სასწრაფოდ "გახსნა" ლევან კალაძის საქმე. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ კიდევ ერთხელ დაერწმუნებინათ მოსახლეობა თავიანთ ეფექტურ მოღვაწეობაში. კალაძის წარმატებული საქმით, გადაიფარა გირგვლიანის წარუმატებელი საქმე. ასეთი ნათელი მაგალითის და ამ მხილების მიუხედავად, "რუსთავი 2" სიუჟეტს ვანო მერაბიშვილის გამოსვლით ასრულებს, რომელიც გვარწმუნებს, რომ დაიკითხა ყველა ეჭვმიტანილი მოწმე (ასეთი ტერმინიც გაჩნდა უკვე) და საქმე აუცილებლად გამოძიებული იქნება. ამას კი მომდევნო სიუჟეტი მოსდევს, სიუჟეტი ლევან კალაძის მკვლელობის გახსნილ საქმეზე. ამის შესახებ ერთი პატარა ლირიკული გადახვევის შემდეგ.

კინოში, ლიტერატურაში, დრამატურგიაში და ხელოვნების სხვა დარგებში ფინალი ხელოვნების ამ ნიმუშის საბოლოო აღქმისას გადამწყვეტ როლს ასრულებს. კლასიკურ დეტექტივებშიც საქმე ბოლო გვერდებზე იხსნება, ლიტერატურული თუ კინო ნაწარმოების ბედნიერი თუ ტრაგიკული დასასრული საბოლოოდ კრავს სიუჟეტს და ჩვენც მხოლოდ ფინალის შემდეგ გვიყალიბებს დამოკიდებულებას. უცნაურია, მაგრამ ქართული მედიის მუშაკებმა ფინალის ფუნქცია სრულად გააიზრეს და ამიტომ მნიშვნელოვან სიუჟეტში ფინალი ყოველთვის კარგად მოფიქრებული და გააზრებულია. მაგალითად, გადაცემა "კურიერ P.S."-ში, სიუჟეტი გირგვლიანის მკვლელობის შესახებ მთლიანად გამოძიებას მოწყურებული ჟურნალისტის პათოსით იყო გაჟღენთილი, ბევრი ბრალდებაც გაისმა და ბევრი ხმამაღლა გაცხადებული ეჭვიც, მაგრამ კულმინაცია მაინც ვანო მერაბიშვილის "ოპტიმისტური" და "პატიოსანი სიტყვა" იყო, რომელიც სიუჟეტის ფინალში გაისმა და რომელმაც ეჭვები ნაწილობრივ მაინც გააქარწყლა. გეთანხმებით, უცნაურია, მაგრამ ჩვენმა ჟურნალისტებმაც ისწავლეს მაყურებლის მანიპულირება, რაც მათი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს.

მომდევნო სიუჟეტი. მიუხედავად გირგვლიანის ბაბუის სიტყვებისა, "ჩემი შვილიშვილის მკვლელობის ფაქტს, კალაძის საქმის გახსნა მოჰყვა", "კურიერი P.S." მომდევნო სიუჟეტს სწორედ ლევან კალაძის მკვლელობის შესახებ გვთავაზობს. ამ შემთხვევაში სიუჟეტი არაფრის მთქმელი და უინტერესოა. დეტალურად აღწერილია როდის, სად დააპატიმრეს, სად რამდენი საათი დააკავეს, სად აწამეს, სად გარდაიცვალა და სად მიაბარეს მიწას. ამ დეტალების ტელევიზიით ჩვენებას ორად ორი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს - თუკი ეს გადაცემა მიზანმიმართულად მხოლოდ კრიმინალურ ისტორიებს გვიამბობს (მაგ."ვიდეოპატრული") და მეორე კიდევ ერთხელ და კიდევ მრავალჯერ დავარწმუნოთ საქართველოს მოსახლეობა, როგორი პროფესიონალი სამართალდამცავები გვყავს, რომელთაც კარადის ანაბეჭდებითაც შეუძლიათ გამოიცნონ მძევლის ადგილმდებარეობა. ისღა დაგვრჩენია ტაში შემოვკრათ და ფეხზე წამოვუდგეთ ქართველ გამომძიებლებს.

მაშინ, როდესაც "კურიერი" ლევან კალაძის მკვლელობის დეტალურ აღწერას გვთავაზობს, კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ "დროება" და რამდენიმე რესპონდენტის მეშვეობით სვამს კითხვას - დავაკავეთ შემსრულებლები, მაგრამ ვინ არის დამკვეთი? პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არ არსებობს ან კი ჩვენთვის მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც გურამ დონაძე კიდევ ერთხელ გაისეირნებს "შარდენბარში". მე არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი სასიამოვნო ტენდენცია, - ამ შემთხვევაში გადაცემა "დროების" ჟურნალისტები არ ცდილობენ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმ სიახლით თუ ინფორმაციით, რომელსაც მათ სამართალდამცავი სტრუქტურა აწვდის. ვიდრე ყველა კითხვაზე არ არსებობს პასუხი, ცნობისმოყვარეობა არ ცხრება. ეს კი ჟურნალისტისთვის აშკარად პოზიტიური და ბუნებრივი თვისებაა. მსგავსად უდგება ქათმის გრიპის საკითხს. მაშინ, როდესაც ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მაქსიმალურად აკონტროლებს სიტუაციას; ატარებს დიზინფექციას, ხოცავს ჯანმრთელ და დაავადებულ ფრინველს, შეუძლებელს ხდის ფრინველზე ნადირობას, აღმოჩნდა, რომ აჭარის ერთერთ საუკეთესო სანადირო ზონაში თავისუფლად არის შესაძლებელი ფრინველზე ნადირობა. ამას, დარწმუნებული ვარ, ზოგიერთი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად აღიქვამს (ასე ხსნიან ხოლმე ურჩი ჟურნალისტების ქმედებას), მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა. თუკი ხელისუფლება გვაჩვენებს საკუთარ მობილიზებას, რასაკვირველია გარკვეულწილად ეს სიმართლეს შეესაბამება. მედია ამ შემთხვევაში თავის მხრივ აფრთხილებს მოსახლეობას, რომ მიზანშეწონილი არ არის მთლიანად ვენდოთ მათ. შესაძლებელია დაუმორჩილებელი მონადირე დეზინფექციის თუ დაცვის თანამშრომლების ყურადღების მიღმა დარჩეს.

რუსულ-ქართული ურთიერთობები. ეს ის თემაა, სადაც "იმედისა" და "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები თანამოაზრეები და ერთსულოვანნი არიან. ამიტომ მათ ერთ მთლიანობაში განვიხილავთ. ბუბა კიკაბიძე ჩაის მიირთმევს აეროპორტში, თიკა კანდელაკი მშობლების მოქალაქეობაზე წუხს, ალექსანდრე ვენედიქტოვი სიამოვნებით დასეირნობს ბაბშის რიგში, კიდევ ერთი მომხიბვლელი ქალბატონი, კოტე ყუბანეიშვილი, ელენე თევდორაძე და სხვადასხვა. ეს ის **კარგი** რუსები და **კარგი** ქართველები არიან, რომელნიც ერთმანეთს ვერ ელევიან. "არ უნდა დავთმოთ კარგი რუსები", - აცხადებს კოტე ყუბანეიშვილი. ამ შემთხვევაში, ვინ აიძულებს მათ მათთვის კარგი რუსების დათმობას, არავინ იცის და არც ის იცის ვინმემ, რატომ არ გვენანებიან, მაგალითად, კარგი ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები და ნებისმიერი ეროვნების ხელოვანები თუ ინტელექტუალები. რა აუცილებელია მხოლოდ კარგ რუსებზე წუხილი, თუმცა ელენე თევდორაძე ძალიან რიტორიკულ პასუხს ერთ-ერთი გადაცემის სიუჟეტში სცემს და ამბობს: "ერთი რელიგია გვაქვს ჩვენ!" იმაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, თუ რამხელა ზიანი მოგვაყენა ამ საერთო რელიგიით სპეკულაციამ. ჩვენ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ, - ამ შემთხვევაში ხელისუფლების საწინააღმდეგო განაცხადისგან არც ერთი მათგანი ("კურიერი P.S.", "დროება") თავს არ იკავებს; ისეთი წმინდა ცნება, რომელსაც რუსეთი და კარგი რუსები ჰქვია, ყველა ხელისუფალზე მაღლა დგას და ასეთ შემთხვევაში არავითარი ცენზურა არ მოქმედებს. მიკვირს, "გასპადინ განაპოლსკი" რატომ ვერ დავინახე ამ საკრალურ რეპორტაჟებში. თუკი "კურიერი" დინჯად ტირის კარგ რუსებს, "დროება" კიდევ უფრო ამწვავებს სურათს და ტონობით მანდარინს გვაჩვენებს, რომელიც რუსეთში ექსპორტის ნაცვლად, მშობლიურ აჭარაში ლპება. რასაკვირველია, ეს უფრო დასაფიქრებელი და მნიშვნელოვანი საკითხია (დაზარალებული გლეხი), მაგრამ რამდენიმე ტონა მანდარინი, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის, იმისათვის რომ რუსეთთან ურთიერთობის გარკვეული შედეგები ისევ არაფრად ვაქციოთ და საქმე კიდევ რამდენიმე წლით დავხიოთ უკან. მაშინ, როდესაც რუსეთი საქართველოს მის ერთ-ერთ სრულუფლებიან მეზობლად აღიარებს და არა უმცროს შვილად, ის ისევ იყიდის საქართველოში მანდარინს და ისევ გემრიელად მიირთმევს. ამიტომ, ვფიქრობ, სწორედ ამ შემთხვევაში უნდა იცავდეს მედია სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

საერთო შთაბეჭდილება. ისევე როგორც "კურიერი", ასევე "კვირის კურიერი" კრიმინალურ ისტორიებზეა ორიენტირებული. 10 სიუჟეტიდან მინიმუმ ოთხი ყოველთვის კრიმინალს ეხება. ასე იყო უკანასკნელ გადაცემაშიც. პატარა ფაქტის კონსტატაციის ჩვენება, - როცა სასამართლო პროცესზე მსჯავრდებულმა სასამართლო დარბაზში საძილე არტერია გადაიჭრა, - მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოში, სადაც საპატიმროებში ბევრი უკანონო და უდანაშაულო პატიმარია. მაგრამ "კურიერის" სიუჟეტიდან, სამწუხაროდ ჩვენ მხოლოდ ამ ფაქტის შესახებ ვეცნობით და ძალიან მკრთალად იმის შესახებ, თუ რისთვის არის ის დაპატიმრებული და რისთვის მიმართავს ასეთ რადიკალურ ზომებს. კიდევ ერთი კრიმინალური ისტორია, რომელსაც ჩვენ ახლა დეტალურად აღარ განვიხილავთ, მხოლოდ ერთ დეტალზე შევაჩერებთ ყურადღებას; საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ ფარულად არის ჩაწერილი, მარტივად რომ ვთქვათ, მოტყუებით. ამ შემთხვევაში რესპონდენტი ეჭვმიტანილია თუ დამნაშავეა, მისი ფარულად ჩაწერის და, მით უმეტეს, ტელევიზიით ჩვენების უფლება ჟურნალისტს არ გააჩნია. ამ შემთხვევაში, ამ უკანასკნელს მხოლოდ ეთიკის ნორმების დარღვევაში ვერ დავადანაშაულებთ, ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა და ცივილიზებულ ქვეყნებში ასეთ შეცდომას ჟურნალისტს არ აპატიებდნენ. გასაგებია, მთავარია სიმართლის წარმოჩენა, მაგრამ ხალხს, რომელსაც კანონმორჩილებას ვთხოვთ და მისი დარღვევის შემთხვევაში ქვეყნის პირველი პირი ადგილზე ლიკვიდაციის განკარგულებას გასცემს, ვისგან უნდა აიღოს მაგალითი რიგითმა მოქალაქემ? მთავრობა, ხელისუფლება თუ რიგითი ჩინოვნიკები, რომელნიც მუდმივად კანონს არღვევენ და ზოგიერთი მათგანი მკვლელობაშიც კი არის ეჭვმიტანილი, თუ მედია, რომელიც ასევე განუწყვეტლივ და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს და ეთიკის ნორმებს. ამ შემთხვევაში სამაგალითო, დამეთანხმებით, რომ არც ერთი მათგანი არ არის.

თუკი "კურიერ P.S." პრიორიტეტად კრიმინალურ რეპორტაჟებს ირჩევს, "დროება", ასე ვთქვათ, ტაშ-ფანდურის, გართობა-გამხნევების საკითხებით არის დაკავებული და მაგალითად, გვიყვება ერთი რიგითი შერეული ქორწინების ამბავს, სადაც ინგლისელმა პატარძალმა მისთვის ერთი უცნობი რელიგია, მეორე უცნობ რელიგიაში გაცვალა და ისე დაქორწინდა ქართველ მამაკაცზე. როგორც ეტყობა, ამ რეპორტაჟით კიდევ ერთი ჭეშმარიტი მართლმადიდებლის მატება აღვნიშნეთ. დარწმუნებული ვარ, ამ სიუჟეტს მაყურებელი ჰყავდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამბავი მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამგვარი, უმნიშვნელო და ნაკლებად საინტერესო სიუჟეტებით, გადაცემა "დროება" ყოველთვის სავსეა. გაცილებით საგანგაშოა სრული სერიოზულობით დამზადებული რეპორტაჟები შავ მაგიასა და მართლმადიდებლურ გამოცხადებებზე, რომელიც უკანასკნელი კვირის "დროებას" აშკარად დააკლდა.

დაბოლოს. ქართული საინფორმაციო თუ ანალიტიკური გადაცემების და ზოგადად, ქართული ტელემედიის საერთო სურათს, მათი ინტელექტუალურობისა და თანამედროვე კულტურაში გაცნობიერების შესახებ, ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალების ფაქტი ქმნის. არც ერთი მოკლე თუ ვრცელი სიუჟეტი არ ასახავს მწერლის, პოეტის და მუსიკოსის ჩარკვიანის ნამდვილ სახეს. ირაკლი ჩარკვიანს ალბათ ყველაზე მეტად, სატელევიზიო გადაცემის დროს, ქვემოთ მიწერილი არტისტი მოუხდება, არა როგორც მსახიობი, არამედ ხელოვანი და არა როგორც მას უწოდებენ - მომღერალი. ხელოვანი, რომელმაც თანამედროვე ქართულ კულტურაში ახალი ეპოქა შექმნა და მისი სახით საზოგადოებამ არა მხოლოდ მომღერალი, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა დაკარგა. სამწუხაროდ, მედიამ, რომელსაც კულტურისთვის უკანასკნელი წლების განმავლობაში დრო არ აქვს, ეს ჯერ არ იცის და იმედი გვაქვს, მისი გარდაცვალების შემდეგ მაინც შეიტყობს.

"ღია კარის დღე" კავკასიის უნივერსიტეტში

ა.წ. 25 თებერვალს, მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში, კავკასიის უნივერსიტეტმა მოაწყო "ღია კარის დღე" აბიტურიენტებისა და მათი მშობლებისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლისა და კავკასიის სამართლის სკოლის პრეზენტაცია, მათ მიერ განვლილი გზის, სასწავლო და საქმიანი ტრადიციების ჩვენებით. მოწვეულ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს კავკასიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გააცნო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლისა და კავკასიის სამართლის სკოლის სპეციალობები (კავკასიის ბიზნესის სკოლის ფარგლებში - ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესი, ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესის მართვა; კავკასიის სამართლის სკოლის მიმართულებით - სამართალმცოდნეობა) და ის მეთოდები და კრიტერიუმები, რასაც იყენებენ კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლა და კავკასიის სამართლის სკოლა საერთაშორისო სტანდარტების უმაღლესი განათლების მიღებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლისა და კავკასიის სამართლის სკოლის წარმომადგენლები ამომწურავად პასუხობდნენ აბიტურიენტთა მხრიდან დასმულ ათეულობით შეკითხვას საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების, აკადემიური მოსწრების შეფასების, საერთაშორისო პროგრამებისა და ა.შ. შესახებ.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტთა გაცვლითმა პროგრამებმა საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებში და ურთიერთთანამშრომლობის იმ ტრადიციებმა , რაც აკავშირებს კავკასიის უნივერსიტეტს ამერიკისა და ევროპის ისეთ უმაღლეს სასწავლებლებთან, როგორიცაა: ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ატლანტა , ა.შ.შ.); გრენობლის ბიზნესის სკოლა (საფრანგეთი);სენტ - მერის სახელობის უნივერსიტეტის (კანადა);ტეხასის უნივერსიტეტი (ა.შ.შ.); სტამბულის ბილგი უნივერსიტეტი (თურქეთი); რიგის ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების საერთშორისო სკოლა (ლატვია) და ა.შ.

გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

"შეყვარებული სპილო" გალერეა "ლიანაში"

მზევინარ ხუციშვილი

"მხატვარი ისე ღრმად შეაღებს სამყაროს კარს, რომ თვითონაც არ იცის, მის იქით რა ელოდება", - ამბობს ჟან კოკტო. მაგრამ ამ სამყაროს ბევრი ადამიანი არ შეუშინდა და მხატვრობაში თავისი კვალი დატოვა. მათ არც თანამედროვე მხატვრები ჩამოუვარდებიან.

ლადო თევდორაძე ერთ-ერთი იმათაგანია, ვინც ფუნჯით ცდილობს გადმოსცეს რეალური სამყარო. მისი შემოქმედება თბილი და სიყვარულით სავსეა. ნათელი, ღია, ხალისიანი და მხიარული ფერები მხატვრის ფერწერისთვის მნიშვნელოვანია.

"არის სევდაც, მაგრამ ეს იმედიანი სევდაა, თითქოს გაჩერებული წუთის მოლოდინია. მთელი ჩვენი ცხოვრებაც ხომ მოლოდინი და მგზავრობაა. ჩემი შემოქმედება თავისუფალია ისევე როგორც მე - ვხატავ მაშინ, როცა მინდა".

1977 წლიდან 2005 წლამდე ლადო თევდორაძის შემოქმედებას სხვადასხვა გალერეა მასპინძლობდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ - მოსკოვი, ფინეთი, ჰოლანდია... და ყველგან დადებითი გამოხმაურება.

მხატვრის შემოქმედება მრავალფეროვანია, თუმცა, ნამუშევრებს შორის ხშირია სალოცავი; 1998-2000 წლებში კი, ხიდაშელთან ერთად, თბილისში, ნარიყალაზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაც მოხატა. ამჯერად ლადო თევდორაძის ნამუშევრები თბილისის ისტორიულ უბანში, ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარე გალერეა "ლიანაშია" წარმოდგენილი. იგი მუდმივმოქმედია, პერიოდულად კი მხატვრის ნამუშევრები შეიცვლება. ამჟამად "შეყვარებული სპილო", "ნატვრის ხე", "მაჭანკლები", "ციცარი" და კიდევ ბევრი სხვა ნაშრომი ყოველდღიურად უამრავ ადამიანს მასპინძლობენ. გამორჩეულად კი უცხოელებზე ახდენენ გავლენას.

- რატომ მაინცდამაინც "შეყვარებული სპილო"?

- იმიტომ, რომ დიდია...

(ავტორი მართალია, საქართველოს ძალიან სჭირდება დიდი სიყვარული...)

- მინდა უახლოეს მომავალში პერსონალური გამოფენა მოვაწყო, მაგრამ საქართველოში ეს დიდი პასუხისმგებლობაა და სათანადოდ უნდა მოვემზადო; ქართველებთან შედარებით მორიდებული ვარ და განცდაც უფრო დიდია...

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე დიდების ობელისკის მიმდებარე 3500 კვ.მ. სკვერიდან 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის მიზნით

შესავალი

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე დიდების ობელისკის მიმდებარედ არსებულ სკვერში მოსახლეობის გართობის, მომსახურებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 10 თებერვლის N39 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობ-რივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე დიდების ობელისკის მიმდებარედ 500 კვ.მ. სკვერის იჯარით გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე დიდების ობელისკის მიმდებარედ არსებულ სკვერში 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 29 წლიანი იჯარით გადაცემით მოსახლეობის აქტიური დასვენებისა და თანამედროვე ტიპის გასართობი კერის მოწყობა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, გოგებაშვილის ქუჩაზე დიდების ობელისკის მიმდებარედ არსებული სკვერი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი ობიექტის მოწყობა.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 500 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 10 ლარი, სულ 5000 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობებია:
1. ა) მიწის ნაკვეთის საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 10 ლარს, სულ 5000 ლარს. მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის ჩადგმა. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმო-ადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). პროექტში ასევე გათვალის-წინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 250 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 5000 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 5 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 5 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 3000 ლარის გადახდა.

3. იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე გასართობი ობიექტის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 180 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გავლებული წითელი ხაზებით გამიჯნული ტერიტორია.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) განახორციელოს გოგებაშვილის ქუჩაზე დიდების ობელისკის მიმდებარედ არსებული სკვერისა და მის გასწვრივ მოქმედი ტროტუარის მოვლა-კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრუ-ლოს არაუგვიანეს 6 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მეიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვე-ვაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 28 მარტს, 15^{00} სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 28 მარტს, 16^{00} სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს ქ.თბილისში, ჭანტურიას ქ. N12-ში მდებარე შენობის II და IV სართულების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით

დაფინანსების წყარო: საწარმოს სახსრები.
განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერილობა.
- ოთახების, დერეფნების და სველი წერტილების ძველი რემონტის და ტიხრების სადემონტაჟო სამუშაოები.
- ახალი რემონტი, გადატიხვრა, ელ. გაყვანილობების შეცვლა და სველი წერტილების მოწყობა.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 90 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი. 20 მარტის 18 საათამდე.

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო, ვაკე-საბურთალოს რაიონი) ანგ. N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300044040. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 21 მარტიდან 26 მარტის 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 26 მარტის 16.3000 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ;
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79

სატენდერო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

1. გფა ტერრა სისტემის წარმომადგენლობის კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი აცხადებს ტენდერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოსათვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისათვის და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

N	დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა
1	პერსონალური კომპიუტერი გრაფიკული სამუშაოებისათვის	Intel P4 3.0, RAM 1GB, HDD 160GB SATA, DVD +/- RW, FDD 1,44, Video 256MB, 4xUSB 2.0, 1x Parallel, 1xCom, LAN 10/100 MBps, Chipset Intel 915, Audio, Monitor CRT 19”	15
2	პერსონალური კომპიუტერი საოფისე სამუშაოებისათვის	Intel P4 3.0, RAM 512, HDD 80GB, CD ROM, FDD 1.44, video 128MB, 10/100MBps, Chipset Intel 865, 4xUSB 2.0, 1x Parallel, 1xCom, Audio, Monitor CRT 17”	10
3	პრინტერი ფერადი ჭავლური	A4/A3=(320x1254mm) 660dpi; black 4800x1200dpi; color 14ppm, black 11ppm color; monthly volume 5000 pages input 150, output 50, 8 MB RAM, USB, LPT	10
4	პრინტერი შავთეთრი ლაზერული	A4, 14ppm, fpo: 10 sec, 5000 p/month paper input 150sh, autput 100 sheeps paper tray 2MB RAM, USB 2.0 Duplex	10
5	პრინტერი ფერადი ლაზერული	A4/A3 LJ Duplex Color	1
6	ფაქსი	Termal fax	10
7	ასლგადამღები	A4, 4ppm, 1000 p/ month	10
8	ჰაბი	10/100 mb 5 port	10

კომპიუტერულ ტექნიკას თან უნდა ახლდეს მწარმოებელი ფირმიდან წარმომავლობის წერილი (brand-named) და უნდა გააჩნდეს სამი (3) წლის გარანტია.

2. კომპიუტერული ტექნიკის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 20 მარტიდან 21 მარტის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, 4-ე სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება.

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 20 მარტამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, 4-ე სართული.

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 21 მარტს 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ვოვა ჩხაიძე, ანი მინდორაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: 25 15 28
ფაქსი: 25 15 27
მისამართი: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი.

კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის სატენდერო კომისია

განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის N55-ში მდებარე 9 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით

შესავალი

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. N55-ში არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე კომერციული ობიექტის მოწყობის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N55 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. N55-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. N55-ში არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით მოსახლეობის მომსახურებისა გაუმჯობესება და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N55;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - კომერციული ობიექტის მოწყობა;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 9 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ.-ზე - 32 ლარი, სულ 288 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 32 ლარს, სულ 288 ლარს. მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს კონკურსის წესით გასაცემი ნაკვეთის 100%-ზე ანუ 9 კვ.მ. მეტი. სართულიანობა დასაშვებია არაუმეტეს ერთი სართულისა. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) ასევე პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 14,4 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 288 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვე-ვაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 5000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვე-ბულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 5 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 ლარის გადახდა.

3. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე კომერციული ობიექტის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 12 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გავლებული წითელი ხაზებით გამიჯნული ტერიტორია.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) განახორციელოს მაიაკოვსკის ქუჩის გასწვრივ პრეტენდენტის მიერ გამარჯვებული მიწის ნაკვეთის მოპირდაპირედ არანაკლებ 100 კვ.მ. ტროტუა-რის კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრუ-ლოს არაუგვიანეს 6 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელებლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვე-ვაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრო-ბასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 4 აპრილს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 4 აპრილს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიში N000142402

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სს"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია აცხადებს ღია ტენდერს სახვადასხვა ობიექტების დაცვის შესასყიდად

ლოტი 1 . ორი ობიექტის დაცვა
მისამართი - იოსებიძის N 71
რუსთაველის N 12
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
24 საათიანი დაცვა პერიმეტრის სრული კონტროლი. Mმკაცრად დაიცვას ა.ს.ს. ტერიტორიაზე შენობებში არსებული მატერიალური ფასეულობები, საწყობები, უზრუნველყოს თანამშრომელთა უსაფრთხოება, საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ზომები. ვადები - 22 მარტიდან 22 სექტემბრის ჩათვლით

Lლოტი 2 . ათი ობიექტის დაცვა
მისამართი - 1) ასს-30 ძველი-უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკა, კორპუსი 5)
2) ასს-40/41 ლილო კახეთის გზატკეცილი, საქნავთის დასახლება
3) ასს-60/61 ჩარგლის ქ. N7
4) ასს-63/64 მუხიანის დასახლება, ა.გობრონიძის ქ.
5) ასს-66/69 ბეჟანიშვილის ქ N11
6) ასს-67/68 გლდანის მასივი, IV მ/რაიონი
7) ასს-71 მოსკოვის გამზ. N4ა
8) ასს-72 ბევრეთის ქ..N8
9) ასს-74 გარე ჯავახეთის ქ. N3
10) ასს-78 ვაზისუბანი III მ/რაიონი, II კვარტალი

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
24 საათიანი დაცვა პერიმეტრის სრული კონტროლი. Mმკაცრად დაიცვას ა.ს.ს. ტერიტორიაზე შენობებში არსებული მატერიალური ფასეულობები, საწყობები, უზრუნველყოს თანამშრომელთა უსაფრთხოება, საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ზომები. ვადები - 30 მარტიდან 30 დეკემბრის ჩათვლით

ლოტი 3 . რვა ობიექტის დაცვა
მისამართი - 1) ასს-22/23/25/29 - ჭავჭავაძის გამზ.N29
2) ასს -39 - ნუცუბიძის Q14
3) ასს -34/35 - თევდორე მღდვლის ქ. N46
4) ასს 62 - ქერჩის ქ.N1
5) ასს- 73 - შუამთის ქ.N19
6) სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საწყობი და ავტოფარეხი - ერწოს ქ. N6
7) ----------"---------- საწყობი - ბარალეთის ქ.N29
8) სს"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" - შევჩენკოსქ.N6
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
24 საათიანი დაცვა პერიმეტრის სრული კონტროლი. Mმკაცრად დაიცვას ა.ს.ს. ტერიტორიაზე შენობებში არსებული მატერიალური ფასეულობები,გადასახდელი პუნქტები,თანამშრომელთა უსაფრთხოება, საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ზომები. ვადები -6 მაისიდან 6 ნოემბრის ჩათვლით

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
დაინტერესებულმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 მარტამდე
შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N 95, შემდეგ ტელეფონებზე: 91-20-80; 91-21-74
საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:
იურიდიული პირისათვის:
1. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის;

ფიზიკური პირისათვის:
1. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობა შსს-დან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის;
3. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ აღნიშნულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება 2006 წლის 22 მარტს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება
ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 2006 წლის 20 მარტის 18 საათისა, შემდეგ მისამართზე:ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის N95.
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთან დასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 22 მარტის 15 საათზე.
ტენდერის დროს შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოლენა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურების მოწოდება ეტაპობრივად
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან; ბადრი სიმონიშვილი, ...მისამართზე ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის N95, ტელეფონი 91-20-80; 91-21-74

სატენდერო კომისია

განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ორეტაპიან ტენდერს "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების" და "სოციალური დახმარების" სახელმწიფო პროგრამების საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

2. ***შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალი:***

2.1. სატელევიზიო სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის დამზადება და გავრცელება;

2.2. პოლიგრაფიული სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის დიზაინის შემუშავება და გავრცელება;

2.3. პუბლიკაციების მომზადება და განთავსება ბეჭდვით მედიაში;

2.4. გარე რეკლამის საშუალებების დიზაინის შემუშავება და გავრცელება;

2.5. რადიო რეკლამისა და საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება;

3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები - 2006 წლის აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 მარტის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

b) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები;

ე) პროექტში მონაწილე კადრების კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ვ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება;

ზ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი დახურულ კონვერტში.

10. 2005 წლიდან სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამას". მიმდინარეობს ერთიან საინფორმაციო ბაზაში მოხვედრის მსურველი ოჯახების აღრიცხვა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. ბაზაში დაცულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2006 წლიდან დაგეგმილია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელება. პროგრამის მიმდინარეობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, წარმოადგენს მოსახლეობის სწორი, დროული და ხელმისაწვდომი ინფორმირება ბაზაში მოხვედრის პრინციპებისა და საჭიროების შესახებ.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს პრეტენდენტის ხედვას:

- *ზემოაღნიშნული პროგრამის საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის განხორციელების გზების შესახებ;*
- *შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალში (პუნქტი 2) მოცემული შესასრულებელი სამუშაოს განხორციელების საშუალებების შესახებ;*

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 28 თებერვლიდან 21 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

12. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

13. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

14. ტენდერის I ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

15. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

16. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

17. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი.

18. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია, თამუნა შალამბერიძე, მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 698485. ***E-mail:***sales@saesa.gov.ge

განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძისა და დ. აღმაშენებლის ქუჩების კვეთაში არსებული 4000,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

შესავალი

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N51 დადგენი-ლების შესაბამისად, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის მშენებლობის მიზნით, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძისა და დ. აღმაშენებლის ქუჩების კვეთაში არსებული 4000,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძისა და დ. აღმაშენებლის ქუჩების კვეთაში არსებული 4000,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-ბის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვა საცხოვრებელი და საზოგადოებ-რივი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის მშენებლობისათვის

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ტბელ აბუსერიძისა და დ. აღმაშენებლის ქუჩების კვეთა;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის და საზოგადოებრი დანიშნულების მაღლივი კომპლე-ქსის მშენებლობისათვის

მიწის ნაკვეთის ფართობი: 4000,0 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 35 ლარი, სულ 140 000 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 35 ლარს, სულ 140 000 ლარს.

2. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის მშენებლობა;

3. კონკურსში მონაწილეთა მხრიდან საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში მისი საერთო ფართის არანაკლებ 10 (ათი) %-ის ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობისათვის საკუთრებ-ის უფლებით გადაცემის ვალდებულების და ამ ვალდებულების უზრუნველყოფის აღება.

4. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშე-კრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა და დაასრულოს მშენებლობის დაწყებიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) თვისა.

5. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის ინფრა-სტრუქტურის მოწყობა.

6. საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის საფასურის სრულად და ერთჯე-რადად გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან 30 დღის ვადაში.

7. კონკურსში გამარჯვებული უფლებამოსილია საკუთრებაში გაცემული მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვა მოახდინოს მხოლოდ მის მიერ ნაკისრი ვალდებუ-ლებების შემძენის მიერ აღიარების პირობით, რაც "მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება შეზღუდვის აქტად და რეგისტრირ-დება საჯარო რეესტრში.

8. საკონკურსო წინადადებები ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილ-ად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუს-რულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარ-ჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრუ-ლების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელ-შეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგ-ენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურ-სო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელებლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ საუ-კეთესო საპროექტო წინადადების წარმოდგენა, საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში მისი საერთო ფართის არანაკ-ლებ 10 (ათი) %-ის ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმ-მართველობისათვის სა-კუთრების უფლებით გადაცემის ვალდებულების აღება და შემოთავაზებული სხვა პირობები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედ-გინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექ-ტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სა-დაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარი-შზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტა-ციას.

3. ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსე-ბელი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კომპლექსის შესახებ. საპროექტო წი-ნადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). ასევე პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლო-გიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარე-ბითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნ-და იყოს ნოტარიალური წესით.

4. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სა-სარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 7000 ლარის ოდენობით, რაც წარმო-ადგენს 4000,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 140 000 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებუ-ლებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამა-რჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 200 000 (ორა-სი ათასი) ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შე-მაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღები-დან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარა-ნტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალ-დებულება არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურ-სის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულებ-ის გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირ-გასამტეხლოს სახით დაეკისრება 5 000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა.

სხვა პირობები

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრებ-ის შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბა-თუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 4 აპრილს, 1500 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკე-ტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 4 აპრილს, 1600 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდ-ეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გორგასლი-სა და ჯავა-ხიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 445 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის ნაკვეთის, რომელზეც ადრე განლაგე-ბული იყო კონტეინერული ბენ-ზინგასამართი სადგური და სხვა უსახური კუსტარული სახელოსნოები, საკუთრე-ბაში გადაცემის მიზნით

შესავალი

ქ. ბათუმში, გორგასლისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაში საზოგა-დოებრი-ვი დანიშნულების მქონე ობიექტის მოწყობის მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N52 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობ-რივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კო-ნკურსს ქალაქ ბათუმში, გორგასლისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 445 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, გორგასლისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვე-თაში არსებული 445 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით საზოგადოებ-რივი დანიშნულების მქონე ობიექტის მოწყობა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, გორგასლისა და ჯავახიშვი-ლის ქუჩების კვეთა;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საზოგადოებრივი დანიშ-ნულების უმაღლესი კლასის ობიექტის მოწყობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 445 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 200 ლარი, სულ 89 000 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაი-რია და შეადგენს 1 კვ.მ. 200 ლარს, სულ 89 000 ლარს. სართულიანობა დასაშვებია არაუმეტეს ოთხი სართულისა, საზაფხულო მანსარდის ჩათვლით. კონკურსში მო-ნაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებული საზოგადოებრივი და-ნიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადა-დება აუცილებელია წარ-მოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით), ასევე პროექტში გა-თვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექ-ნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონო-მიკური მახასიათებლების შესახებ;

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნ-და იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სა-სარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 4450 ლარის ოდენობით, რაც წარმო-ადგენს 445 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 89 000 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებუ-ლებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამა-რჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლით-აც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არა-ნაკლებ 50 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურ-სის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულებ-ის გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირ-გასამტეხლოს სახით დაეკისრება 5000 ლარის გადახდა.

3. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი დანიშნულების უმაღლესი კლასის ობიექტის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე გა-ნახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 350 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ გორგასლ-ის ქუჩის მხიდან მოეწყოს სკოლაში შესასვლელი არკა და მის ქვეშ დაკავებული 40,5 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (4,9) შენარჩუნდეს მიწის ნაკვეთის დღეს არსებული სა-მართლებრივი რეჟიმი, ანუ იგი დაიტვირთება უვადო სერვიტუტით მოცემულ მი-სამართზე არსებული საშუალო სკოლის სასარგებ-ლოდ.

ბ) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბა-მისად.

გ) განახორციელოს გორგასლის ქუჩაზე არსებული სამხედრო ნაწილიდან ჯა-ვახიშვილის ქუჩის კვეთამდე და გორგასლისა და ჯავახიშვილის ქუჩის კვეთიდან სკოლის გასწვრივ ტროტუარების კეთილმოწყობა, გამწვანების სამუშაოების გან-ხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრ-ივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშე-კრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრუ-ლოს არაუ-გვიანეს 20 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრუ-ლებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვე-ბულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასე-ვე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინა-დადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელებლობა ან/და სხვა სა-კონკურსო პირობების დარღვევა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა მაღალი ფასის შემოთავა-ზება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზე-ბული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომ-ლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვე-ვაში გაა-ფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრო-ბასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინ-ოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექ-ტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სა-დაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარი-შზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტა-ციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ და-ნახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მო-ნაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრე-ტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუ-მის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 4 აპრილს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტე-ბის გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 4 აპრილს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი" (მისამართი: ქ. თბილისი კოსტავას ქ.N64, ტ: 33-58-60) აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმ-წიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტე-რესებულ ორგანიზაციებს. დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ შემსყიდვ-ელ ორგანიზაციას.

2. სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სასურველი ვა-დაა ორი თვე ხელშეკრულების დადებიდან.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებე-ლი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 20 მა-რტის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი კოსტავას ქ.N64. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე ერთიანი ანგარიში არასა-გადასახადო შემოსავლებისათვის ვაკე-საბურთალო: ა/ანN 200122900 საქართველ-ოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107 სახაზინო კოდი 300044040 (ვაკე-სა-ბურთალო) დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

5. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნო-ტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინ-ფორმაციებს:

იურიდიული პირებისათვის

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტე-ლეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარ-მოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგი-სტრაციის ადგილის მიხედვით);

- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზია) ნოტარიალურად დამოწმებული ასლი.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების სა-ქმისწარმოება;

- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზია) ნოტარიალურად დამოწმებული ასლი.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახე-ლმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპა-რატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 20 მარტის 16 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი კოსტავას ქ.N64. სა-ტენდერო კომისიის აპარატი.

9. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენ-დერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნი-შნულ მისამართზე 2006 წლის 20 მარტის 16:00 სთ -ზე.

10. დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. დამატებითი ინფორმაცია და ჩასატარებელი სამუშაოების ნუსხა დაინტე-რესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N64, შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი", ტელ. 33-58-60, ვალერი სვინტრაძე - დირექტო-რი საფინანსო-სამეურნეო დარგში.

სატენდერო კომისია
28 თებერვალი 2006

შპს "საქართველოს ფოსტის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს ფოსტა" აცხადებს ტენდერს **პიკაპის ტიპის (დახურული) მცირე ტვირთამწეობის 4 ავტომობილისა და 2 ავტომობილი სატვირთო-საბარგო ძარით (18-20 მ3 მოცულობის) შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 მარტიდან 21 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, პირველი სართული - სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილოების მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და /ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მოწოდების შესახებ.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 302003000; დანიშნულება - შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტის სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 მარტამდე, შემდეგ მოსამართზე: თბილისი ვაგზლის მოედანი N2 პირველი სართული სატენდერო კომისიის აპარატი.

ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი: საბანკო გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

ტენდერში წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

საქონლის მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი ვაგზლის მოედანი N2

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მურთაზ ზიჭინავა საკონტაქტო ტელეფონი 35-62-26, 899-93-33-24; სიმონ კაკაურიძე საკონტაქტო ტელეფონი 899-14-43-46; და კახა ჩუხრუკიძე საკონტაქტო ტელეფონი 899-43-03-73.

სატენდერო კომისია

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს

შავ ზღვაში თევზჭერის უფლების (ლიცენზიის) მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების შესახებ

თევზჭერის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება (ან სამთავრობო დაწესებულება)	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
აუქციონის ჩატარების ადგილი	მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ა/წ 28 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით და აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 30 მარტს 12 საათზე ქბათუმში მისამართზე რუსთაველის ქ. 6

აუქციონზე გამოსატანი სხვადასხვა თევზის სახეობა, რომელიც თავისთავად დაყოფილია ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტების შესაბამისად:

ლოტის დასახელება რაოდენობა საწყისი ფასი "ბე"- ოდენობა, ჭერის კატეგორია

გონიო, თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან — მდინარე ჭოროხის შესართავამდე.

- ლოტი ა. 12 ტ 300 ლარი "ბე" -60 ლარი
- ლოტი ბ. 12 ტ 300 ლარი "ბე" -60 ლარი
- ლოტი გ. 12 ტ 300 ლარი "ბე" -60 ლარი

ბათუმი, მდინარე ჭოროხის შესართავიდან — მწვანე კონცხამდე.

- ლოტი ა. 12 ტ 300 ლარი "ბე" -60 ლარი
- ლოტი ბ. 12 ტ 300 ლარი "ბე" -60 ლარი
- ლოტი გ. 12 ტ 300 ლარი "ბე" -60 ლარი

ქობულეთი, მწვანე კონცხიდან — მდინარე ნატანების შესართავამდე.

- ლოტი ა. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი ბ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი გ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი დ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი ე. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი

ურეკი, მდინარე ნატანების შესართავიდან — მდინარე სუფსის შესართავამდე.

- ლოტი ა. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი ბ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი გ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი

ყოფილი, მდინარე სუფსის შესართავიდან — ფოთამდე.

- ლოტი ა. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი ბ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი გ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი დ. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი
- ლოტი ე. 12 ტ 300 ლარი "ბე"- 60 ლარი

თითო ლოტი შეიცავს:

თევზის სახეობა	რაოდენობა
მურლანი	2.5 ტონა
კარპანი	0.5 ტონა
კეფალი-პალენგასი სინგილი	1 ტონა
ხონთქარი	2.5 ტონა
სტავრიდა	2.5 ტონა
ღორჯოები	2.5 ტონა
შაჯი ხლვის ქაშაყი	0.5 ტონა
სულ:	12 ტონა

აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე წარმოადგენს საწყისი ფასის 10%.

"ბე" გადახდის ქვითარი თან უნდა ერთვოდეს განცხადებას აუქციონში მონაწილეობისთვის.
"ბე"- გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000.

შენიშვნა: "ბე" გადახდილ უნდა იქნეს უშუალოდ აუქციონში მონაწილე სუბიექტის მიერ.

სულ 19 ლოტი

თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია:	განცხადება, სადაც აღნიშნულია ლოტის დასახელება და რაოდენობა. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც აუცილებლად დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში ბ)ფიზიკური პირისათვის (საქართველოში მაცხოვრებელი)იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ვ). "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.

შენიშვნა: გამარჯვებული ვალდებულია ასევე ლიცენზიის მიღებამდე წარუდგინოს სამინისტროს ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი კანონმდებლობის შესაბამისად.

ლოტზე ბუნებრივის რესურსის მოსაკრებელი შეადგენს 380 ლარს

შენიშვნა: თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ტრადიციული თევზჭერის პრინციპების გათვალიწინებით.

ტრადიციული თევზჭერა – თევზის მოპოვება საქართველოს იმ მოქალაქეების ან მათი გაერთიანებების მიერ, რომელთა საბინადრო გარემო (სადაც ისინი ტრადიციულად არიან დასახლებული და ეწევიან სამეურნეო საქმიანობას) და ცხოვრების ტრადიციული წესი დაკავშირებულია თევზჭერის ისეთი ტრადიციული ხერხებისა და მეთოდების გამოყენებასთან, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ თევზჭერის წესებს.

გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.
თევზჭერისათვის განკუთვნილი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დასაშვები მოცულობა დგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
გთხოვთ, ინფორმაციისთვის დამატებით, მიმართოთ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.№6 (ორთაჭალა) ტელ 275760

თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადაა	თითოეულ თევზის სახეობაზე ჭერის ვადები განისაზღვრება "ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღების დამტკიცების თაობაზე" მინისტრის 2002 წლის № 97 ბრძანების შესაბამისად 2006 წლის გაბმავლობაში.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა (მის: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3), აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ქ.ქუთაისში კაპიტალური შეკეთების სამუშაოთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 ლოტად:

ლოტი I გზის საფარისა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

- ბუხაიძის, ჯავახიშვილის და ცხინვალის ქუჩების ა/ბეტონის საფარის კაპიტალური შეკეთება;
- ზ.საკანდელიძის, წერეთლის II შესახვევის, თამარ მეფისა და სოლომონ I-ის ქუჩებს შორის მონაკვეთი, ცენტრალური და საფიჩხიის მოედნების ა/ბეტონის საფარის კაპ.შეკეთება;
- ლესელიძის, დავით და კონსტანტინეს და ყაზბეგის ქუჩების ა/ბეტონის საფარის კაპ.შეკეთება;
- გუგუნავასა და 9 აპრილის ქუჩების ა/ბეტონის საფარის კაპ.შეკეთება;
- ვაჟა-ფშაველასა და ჭაბუკიანის ქუჩების რიყის ქვით მოკირწყვლა;
- თეთრი ხიდის კაპიტალური შეკეთება.

ლოტი II მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

- ახალგაზრდობის გამზირი N96, 86, 86ა, 84, 80, 74, 68, 66, 56, 44;
- თაბუკაშვილის ქ. N1 ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთაზე; ჭავჭავაძის გამზირის N51, 55, 59ა; 46, 46ა, 48 და 52;
- რუსთაველის გამზირი N90, 92, 94, 96, 85, 139, 165, 166, 42 (ორი კორპუსი), N 8 (სამხატვრო გალერეა), N4 (მასწავლებელთა სახლი), შ.პირველის ქ.N1 (კულტურის სახლი);
- ასათიანის ქ.N 145, 179ბ, 139, ნიკეას ქ.N1;
- ავტომშენებლის ქ. N3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25, 27, 29, 31, 31ა, 6, 8, 10, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26, 28, 30, 32, 34, 38

ლოტი III

ა) მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

- ასათიანის ქუჩის V ჩიხი N1 (ობიექტის ზომებია 25X45);
- ზ.ჭავჭავაძის ქ.N8 (ობიექტის ზომებია 32X16);
- ი. ჭავჭავაძის გამზ.N34 (ობიექტის ზომებია 23X9);
- ი. ჭავჭავაძის გამზ.N13 (ობიექტის ზომებია 17X14);
- ი. ჭავჭავაძის გამზ.N44 (ობიექტის ზომებია 41X22);
- ბუხაიძის II მ/რ N14 (ობიექტის ზომებია 50X28);
- ხარებავას ქ.N2 (ობიექტის ზომებია 32X16);
- გამსახურდიას III შესახვევი (ობიექტის ზომებია 25X45).

ბ) გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

- ლეონიძის ქუჩაზე 12 სანათი წერტილი;
- ახალგაზრდობის გამზირის ნაწილი ლეონიძის ქუჩამდე 14 სანათი წერტილი;
- აბაშიძის ქუჩაზე 16 სანათი წერტილი;
- ბაგრატიონის ქუჩაზე 25 სანათი წერტილი;
- კუპრაძის ქუჩაზე 39 სანათი წერტილი.

2. დაფინანსების წყარო: ქ.ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. პრეტენდენტმა პირველადი სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები ორ ცალად (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცის ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტღების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანანკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

4. თუ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;

5. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი);

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

6. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალად სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 20 მარტს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3, ადგილობრივი თვითმმართველობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი N431

7. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესაბამისი მომსახურეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

8. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

9. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი, მფო. 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია - 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 მარტს 11 საათიდან 16 საათამდე მისამართზე: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3, ადგილობრივი თვითმმართველობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი N431

10. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან ირაკლი გოგლიჩიძე, ავთანდილ როხვაძე, გიორგი გაბიძაშვილი, ზვიად ყიფშიძე, მისამართზე ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3 მე-4 სართ. ოთახი N429; 431; 433; ტელ: (8231) 4 64 48; 4 38 96; 4 31 73;

სატენდერო კომისია